



20 მარტი, 2019

ოთხშაბათი, №2 (2228)



თამარ გაგოშია უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა



თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამარ გაგოშია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების საერთაშორისო გამოფანაზე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების საერთაშორისო გამოფანაზე ორიგინალური სტანდით წარსდგა. დონისკიების გახსნას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშია, ფაკულტეტების დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. გამოფანის სტუმრები თსუ-ის სტანდთან უნივერსიტეტის ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), გაცვლითი პროგრამების, სტიპენდიების, სტუდენტთა სპორტული და კულტურული საქმიანობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ეძებდნენ. **გვ. 3**

ნომერები

- სამეცნიერო სტუდენტური პროექტების რაოდენობა იზრდება** **გვ. 3.3**
- სტუდენტური პროექტები/კლუბები** **გვ. 3.3**
- თსუ – 101** **გვ. 3.4**
- ახლად არჩეული 5 აკადემიკოსი თსუ-დან** **გვ. 8-9**
- მე ვირჩევ ჩემს მომავალს** **გვ. 3.7**

- საერთაშორისო კონფერენცია ნეიტრონების ფიზიკასა და ასტროფიზიკაში** **გვ. 4**
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა** **გვ. 5**
- გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ მრჩეველს, პროფესორ ჯეფრი დევიდ საქსს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა** **გვ. 5**
- ჩაგლილი 8 მარტი და უნივერსიტეტული წარმატებული ქალების ასოციაციები** **გვ. 10**
- ბეჟან თუთბერიძის ახალი წიგნი** **გვ. 14**
- ვინ შეადგინა საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დებულება?** **გვ. 15**

თსუ-ის 6 ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებში

ფუტსალის 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა ავთანდილ ასათიანმა ნაკრების შემადგენლობა დაასახელა და ევროპის 2019 წლის ჩემპიონატის მინ-რაუნდისთვის მზადება დაიწყო. გამოკახებულ 14 ფეხბურთელს შორის 6 ჩვენი უნივერსიტეტის გუნდის წევრია.

- 1) გიორგი ლავთაძე
- 2) დანი ჩაღუნელი
- 3) ბექა ბექაური
- 4) ნიკოლოზ ხარატიშვილი
- 5) რომა კუხინიძე
- 6) მუკარა ვასილ ცვიტიშვილი.

მინ-რაუნდში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებს ესპანეთის, თურქეთისა და უნგრეთის ნაკრებთან ერთად. მატჩები 24, 25 და 27 მარტს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება. საქართველოს ნაკრების სამივე მატჩი 17:00 საათზე დაიწყება.

ოფიციალური გვერდი

№53/01-01

26.02.2019

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამომცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №10 29.12.2014 წ.), თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №4 14.05.2018 წ.), სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი სამშაბტო განრიგის დამტკიცების შესახებ თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 15 თებერვლის №01/04 ერთობლივი ბრძანებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის დიმიტრი კორძაიას 2019 წლის 19 თებერვლის №2682/32 წერილის საფუძველზე,

პ რ ა ვ ა ნ ა

- 1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად;
2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 7 (შვიდი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
3. კონკურსი გამოცხადდეს 2019 წლის 27 თებერვალს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 28 მარტიდან 2019 წლის 4 აპრილის ჩათვლით.

- დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კლინიკური მოდულების სწავლებისას — შესაბამისი საექიმო სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი;
ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/ შრომის ნიგვანის ასლი და სხვა);
ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი; თუ კონკურსში მონაწილეობს პირი, რომელსაც ამჟამად უკავია თსუ აკადემიური თანამდებობა, მისი მონაცემები სრულად უნდა იყოს ასახული თსუ-ის სამეცნიერო პორტალზე http://rp.tsu.ge/;
ზ) შესაბამისი დისციპლინის/დისციპლინების, სილაბუსი/სილაბუსები ქართულ და ინგლისურ ენებზე, შევსებული თსუ-ის სარეკომენდაციო ფორმის შესაბამისად — დარგობრივ მახასიათებლებთან, მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარე პროგრამებისა და ცხრილის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. სილაბუსს უნდა ერთვოდეს ცნობა თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკიდან, რომ სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურა სრულად შეესაბამება თსუ-ის ბიბლიოთეკის რესურსებს. შესაბამისი რესურსის არარსებობის შემთხვევაში, კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ამ რესურსის მობილიზაცია და ბიბლიოთეკისთვის გადაეცემა;
თ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;
ი) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;
კ) ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ, რომელიც შეიცავს:
კ.ა. თანხმობის წერილს იმ ბაზის/ბაზების ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდა განხორციელდეს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროექტი;
კ.ბ. კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს;
კ.გ. კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებული სასწავლო პროცესისათვის გან-

რექტორი ბიორბი შარვაშიძე

№54/01-01

26.02.2019

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ — პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამომცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №10 29.12.2014 წ.), თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №4 14.05.2018 წ.), „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი სამშაბტო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 15 თებერვლის №01/04 ერთობლივი ბრძანებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის დიმიტრი კორძაიას 2019 წლის 19 თებერვლის №2682/32 წერილის საფუძველზე,

პ რ ა ვ ა ნ ა

- 1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად;
2. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება კათედრის პროფილის მიმართულებით;
3. კონკურსი გამოცხადდეს 2019 წლის 27 თებერვალს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 28 მარტიდან 2019 წლის 4 აპრილის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემადგენელი ოქმი თსუ-ის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2019 წლის 3 მაისისა.
4. კონკურსი გამოცხადდეს მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად;
კლინიკური ქირურგიის კათედრა

- მენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კლინიკური მოდულების სწავლების შემთხვევაში — შესაბამისი საექიმო სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი;
ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/ შრომის ნიგვანის ასლი და სხვა);
ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი; თუ კონკურსში მონაწილეობს პირი, რომელსაც ამჟამად უკავია თსუ-ში აკადემიური თანამდებობა, მისი მონაცემები სრულად უნდა იყოს ასახული თსუ-ის სამეცნიერო პორტალზე http://rp.tsu.ge/;
ზ) შესაბამისი დისციპლინის/დისციპლინების, სილაბუსი/სილაბუსები ქართულ და ინგლისურ ენებზე, შევსებული თსუ-ის სარეკომენდაციო ფორმის შესაბამისად — დარგობრივ მახასიათებლებთან, მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარე პროგრამებისა და ცხრილის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. სილაბუსს უნდა ერთვოდეს ცნობა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკიდან, რომ სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურა სრულად შეესაბამება თსუ ბიბლიოთეკის რესურსებს. შესაბამისი რესურსის არარსებობის შემთხვევაში, კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ამ რესურსის მობილიზაცია და ბიბლიოთეკისთვის გადაეცემა;
თ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;
ი) სამოტივაციო წერილი;
კ) ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ, რომელიც შეიცავს:
კ.ა. თანხმობის წერილს იმ ბაზის/ბაზების ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდა განხორციელდეს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროექტი;
კ.ბ. კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს;
კ.გ. კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებული სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი სივრცის აღწერილობას და სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი;
კ.დ. დადასტურების წერილს, რომ ბაზაზე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თსუ ელექტრონული რესურსები;
6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება ინარჩუნებს 2019 წლის 28 მარტიდან 2019 წლის 4 აპრილის ჩათვლით 11⁰⁰ საათიდან 17⁰⁰ საათამდე, მედიცინის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი, ა. ბელიაშვილის №78, თსუ-ის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი, II სართული, ოთახი №27-28;
7. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს თსუ-ის აკადემიური საბჭოს №113/2018 დადგენილების დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, წერილობით გამოხატოს თანხმობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ (რაც ძალაში შევა მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე) და დადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;
9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;
10. ნინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, მედიცინის ფაკულტეტი).
11. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი ბიორბი შარვაშიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების საერთაშორისო გამოფანაზე



1-ლი გვერდიდან

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს 200-ზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას სთავაზობს. „თსუ-ს ბევრ უნივერსიტეტთან აქვს ერთობლივი პროექტები. რაც მთავარია, ჩვენი უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს, ევროპის უნივერსიტეტებში მოხილობას და, საბოლოო ჯამში, რასაკვირველია, დასაქმებას“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

„მსგავსი გამოფენები აბიტურიენტებს გადანყვეტილების მიღებაში ეხმარება. ახალგაზრდები, რომლებიც ჩამოყალიბებული არ არიან — კონკრეტულად რა მიმართულებით სურთ პროფესიული კარიერის გაგრძელება, ასეთი გამოფენები საშუალებას აძლევთ გაცნონ სხვადასხვა უნივერსიტეტებს, პროფესიებს და ამის შემდეგ გადანყვიტონ, რა არჩევანი უნდა გააკეთონ წლის ბოლოს. პირადად მე, მსგავსი ღონისძიებების ხშირი სტუმარი ვარ“, — აღნიშნა ერთ-ერთმა აბიტურიენტმა.

გამოფენის მსვლელობისას თსუ-ის პროფესორებმა თეიმურაზ გოგსაძემ და თამარ გაგოშიძემ საჯარო ლექციები წაიკითხეს.

თსუ არის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში /U.S.News & World Report-ის 2019 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირება/, 2017 წელი — 359-ე ადგილი; თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია სამხრეთ კავკასიიდან, რომელიც მსოფლიო საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებაში Times Higher Education World University Rankings 2019 — მოხვდა; შანხაის დარგობრივ რანჟირებებში თსუ-ის ფიზიკის მიმართულება N151-200 პოზიციებზეა და პირველია რეგიონში; პირველია სამხრეთ კავკასიის რეგი-

ონში 2018-2020 სასწავლო წლებში ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მოხილობის პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული იმ სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობით, რომლებიც ევროპის უნივერსიტეტებში ისწავლიან და ამბალღებენ კვალიფიკაციას; თსუ-ს ჰყავს 200-ზე მეტი საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტი მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში; უნივერსიტეტში მოქმედებს 21 უცხოენოვანი პროგრამა — საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და ერთსაფეხურიანი; 22000 სტუდენტი (მათ შორის 600-ზე მეტი უცხოეთის მოქალაქე) სწავლობს 240-მდე საგანმანათლებლო პროგრამაზე; 8 მილიონი წიგნი და 22 მილიონზე მეტი გამოგონება/პატენტი ინახება თსუ-ის ბიბლიოთეკებში; სტუდენტებსა და პროფესორებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებსა და რესურსებს; თსუ-ში ფუნქციონირებს თანამედროვე სასწავლო სივრცეები 16 კვლევითი ინსტიტუტი, 85-მდე სასწავლო ლაბორატორია. მათ შორის: ფაბლაბი, SMART-Lab, SMARTJATMOSIM-Lab, BLOOMBERG ლაბორატორია, სან დიეგოს უნივერსიტეტის მიერ მოდერნიზებული ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, მულტიმედია ცენტრი, არქეოლოგიური საველე ბაზა გრაკლიან გორაზე, სახვითი ხელოვნების სტუდია და სხვა; თსუ-ის სტუდენტებს აქტიური სტუდენტური, კულტურული და სპორტული ცხოვრების შესაძლებლობა აქვთ; 2017-2018 წლებში 1,4 მილიონ ლარით დაფინანსდა სტუდენტური პროექტები; თსუ-ს აქვს თანამედროვე სტუდენტური საერთო საცხოვრებელი; უნივერსიტეტს ჰყავს 300 000-ზე მეტი კურსდამთავრებული.

ტრადიციულად, თსუ ყველაზე მოთხოვნადი უნივერსიტეტია საქართველოში პირველი არჩევანის მიხედვით.

თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



სამეცნიერო სტუდენტური პროექტების რაოდენობა იზრდება

რა შედეგებზე მიუთითებს სტუდენტური პროექტების ლაფინანსების საზღვოს თავმჯდომარე

ნათი კობლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების პირველი ეტაპი დასრულდა. საკონკურსო საბჭომ სულ 103 განაცხადი განიხილა და 73 დააფინანსა, აქედან 18 — სამეცნიერო, 27 — საგანმანათლებლო, 3 — ექსპედიცია, 4 — ლაშქრობა, 2 — მოდელირება, 7 — ვიქტორინა, 3 — სპორტული და 9 გასართობი პროექტია. სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ თამარ გაგოშიძის განცხადებით, უკვე აშკარად შეიმჩნევა სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის პროექტების რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დარგების სტუდენტები აქტიურობენ.

„შედარებისთვის — 2018 წლის თებერვალში 7 სამეცნიერო პროექტი

დაფინანსდა, წელს მათი რაოდენობა უკვე 18-მდე გაიზარდა. კარგი ტენდენცია შეინიშნება საკონკურსო განაცხადების გამართულობის თვალსაზრისითაც — ბევრად დახვეწილია სტრუქტურა, შინაარსი და მიზანი. ძალიან აქტიურია თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა — ბევრ სხვადასხვა საინტერესო საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და გასართობ ღონისძიებას ახორციელებს. სტუდენტური ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების რაოდენობაც წელს-წელს იზრდება, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ინტენსიურად, მაგრამ პროგრესი შეიმჩნევა. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ. სტუდენტები გვენდობიან და სჯერათ, რომ მათი განაცხადები ობიექტურად განიხილება.

რაც შეეხება უკვე განხორციელებული სტუდენტური კვლევების ანგარიშებს, ჩვენ გადავხედეთ სამეცნიერო პროექტებს და სერიოზული შედეგებია აქვთ მიღებული. ძირითადი წილი სა-



თამარ გაგოშიძე

ბუნებისმეტყველო დარგებზე მოდის, აქტიურობენ ფიზიკის, ბიოლოგიის მიმართულების სტუდენტები, რამდენიმე პროექტი საინტერესოდ განახორციელეს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენ-

ტებმაც“, — განაცხადა თამარ გაგოშიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გასულ წელს 125 სტუდენტური პროექტი დააფინანსა, მათ შორის 26 — სამეცნიერო, 47 — საგანმანათლებლო, 3 — ექსპედიცია, 7 — ლაშქრობა, 12 — სპორტული, 3 — მოდელირება და 27 კულტურულ-გასართობი ხასიათის ღონისძიება.

სტუდენტური პროექტების საბჭოს ინიციატივით, იგეგმება საუკეთესო პროექტების ავტორების დაჯილდოება. „კარგი პროექტები ნამდვილად უნდა წახალისდეს“, — აცხადებს საბჭოს თავმჯდომარე თამარ გაგოშიძე.

წარმოდგენილი (სამეცნიერო და კულტურული/სპორტული/საგანმანათლებლო) პროექტების დაფინანსების საკითხის განსახილველად საბჭო წელს-წელს სამჯერ იკრიბება. მიმდინარე კალენდარულ წელს კონკურსი კიდევ ორჯერ — აპრილსა და ოქტომბერში გამოცხადდება.



ტსუ - 101

ნახო ობოლად

სამეცნიერო სემინარით „როგორ შეიძლება ძველი ქალაქი ჭკვიან ქალაქად იქცეს?“ გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 101 წლის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებები. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანტონიო ბარტოლი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, თბილისის მერიის წარმომადგენლები, ქართველი და იტალიელი მეცნიერები, სტუდენტები, მონაწილე სტუმრები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, „მნიშვნელოვანი კონფერენციაა, რომელიც ეძღვნება კულტურისა და ინდუსტრიის შერწყმას ქალაქებში. როგორ გავაყვით ისე, რომ ტექნოლოგიური გავლენა მინიმალური იყოს ისტორიულ ლანდშაფტებსა და რელიეფზე; როგორ უნდა დაეხმაროს მეცნიერება ამ კუთხით ტურიზმის განვითარებას; როგორ შეიძლება გამოყენება იმ სიმდიდრისა, რაც გვაქვს ამ ქალაქში და როგორ უნდა გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით.“

„უნივერსიტეტი საიუბილეო დღეს მასპინძლობს იტალიის დელეგაციას, რომლის წევრებიც გაგვიზიარებენ გამოცდილებას უძველესი ქალაქების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით. ისეთი ქვეყნის გამოცდილება, როგორც არის იტალია — იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უმრავლესობის სამშობლო, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის განათლე-



ბის, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაშია. იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ანტონიო ბარტოლის თქმით, „კულტურული მემკვიდრეობა, მისი წარმოქმნა და დაცვა როგორც

იტალიაში, ასევე საქართველოშიც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს საჭიროა ტურიზმის განვითარებისთვისაც. პრეზენტაციებზე საუბარია — თუ როგორ შეიძლება მობილური ტელეფონების თუ სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების

საშუალებით გაიგო ინფორმაცია კულტურის ძეგლის შესახებ; საინტერესოა განათების მეშვეობით კულტურისა და ისტორიული ძეგლების სხვადასხვანაირად წარმოჩენის თემაც.“

სემინარის მიზანია ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით კულტურული ტურიზმის განვითარება, ისტორიული ქალაქების რეკვალიფიკაცია, ისტორიული ურბანული ლანდშაფტის მართვა, ძველი ისტორიული ქალაქების თანამედროვე ქალაქად წარმოქმნა და სხვადასხვა დარგის ქართველ და იტალიელ მეცნიერებს შორის გამოცდილების გაზიარება. ღონისძიების ორგანიზატორია თსუ, საქართველოში იტალიის საელჩო და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭო.

თბილისი დიმიტრი ერმაკოვისა და ალექსანდრე ჯავახიშვილის ფოტოკოლექციები

უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებით თსუ-ის მუზეუმში გამოფენა — „თბილისი დიმიტრი ერმაკოვისა და ალექსანდრე ჯავახიშვილის ფოტოკოლექციები“ — გაიმართა. გამოფენაზე დიმიტრი ერმაკოვის უნიკალური ფოტომასალა იყო წარმოდგენილი, რომელიც, ძირითადად, ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებსა და ხედებს, ისტორიულ ძეგლებს, სამხედრო გზებს, ხიდებს და სხვა; აგრეთვე, გამოფენილი გახლდათ მუზეუმის გეოგრაფიის ფონდში დაცული ალექსანდრე ჯავახიშვილის არანაკლებ ღირებული ფოტოკოლექცია, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის სრულად არ არის ცნობილი. გამოფენაზე სწორედ ეს უცნობი ფოტოების ნაწილი, კერძოდ, საქართველოს დედაქალაქის — თბილისის უნიკალური ხედები წარმოადგინეს.

თავის დროზე, ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა სასწავლო პროცესის გასამართად და სალექციო კურსების საილუსტრაციოდ მოუყარეს თავი ამ ფოტომასალას.

საერთაშორისო კონფერენცია ნეიტრონების ფიზიკასა და ასტროფიზიკაში

მაია ბორაძე

26 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ნეიტრონების ფიზიკასა და ასტროფიზიკაში. კონფერენციაში 10-ზე მეტი ქვეყნის 100-მდე მეცნიერი მონაწილეობდა. მათი უმრავლესობა ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე უნიკალური ნეიტრონული დეტექტორის შექმნაზე მუშაობს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმ 15 ქვეყნის სამეცნიერო კვლევით ცენტრსა და უნივერსიტეტს შორისაა, რომლებიც ექსპერიმენტში არიან ჩართულნი. თსუ-სა და საერთაშორისო კოლაბორაციას — „კილომეტრ კუბური ნეიტრონის ტელესკოპს“ (KM3NeT) შორის თანამშრომლობის მემორანდუმით 2018 წელს გაფორმდა.

ნეიტრონების ფიზიკასა და ასტროფიზიკაში საერთაშორისო კონფერენციის დანიშნულება ზღვის და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში ჩატარებული კვლევების პრეზენტაცია გახლდათ.

KM3NeT ექსპერიმენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი ჯერ კიდევ 2017 წელს შეუერთდა. პროექტში, სხვა მეცნიერებთან ერთად, ჩართულია თსუ-ის პროფესორი რევაზ შანიძე, რომელიც კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ.

პროექტ KM3NeT-ში მეცნიერები ერთობლივ კვლევებს აწარმოებენ ასტრონაზიკის ფიზიკის სფეროში, კერძოდ,

ნეიტრონის ფიზიკაში, კილომეტრ კუბური ნეიტრონის ტელესკოპის დანადგარზე. KM3NeT საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში ქართველებთან ერთად ჩართულნი არიან მეცნიერები გერმანიიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან, საბერძნეთიდან და საფრანგეთიდან.

KM3NeT თანამშრომლობის ძირითადი ამოცანაა ხმელთაშუა ზღვაში, კერძოდ, იტალიის, საფრანგეთის და საბერძნეთის სანაპიროებიდან 40-100 კმ-ს დაშორებით, შექმნას ევროპული საკვლევი ინფრასტრუქტურა, რომლის ძირითადი ელემენტები ნეიტრონული დეტექტორები იქნებიან. საკვლევი ინფრასტრუქტურის საშუალებით მასში გათვალისწინებული კვლევები ნეიტრონული ფიზიკასა და ასტროფიზიკაში, ასევე ინტერდისციპლინარული კვლევები, მაგალითად, ზღვის და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში. კვლევებში, თსუ-ის მეცნიერებთან ერთად, სტუდენტებიც ჩაერთობიან.

კვლევებს ნეიტრონული ფიზიკასა და ასტროფიზიკაში გამორჩეული ადგილი უჭირავს თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში. ნეიტრონები ერთადერთ ფუნდამენტურ ნაწილაკებს წარმოადგენენ, რომელთა თვისებები ნაწილაკების ფიზიკის სტანდარტულ მოდელში ბოლომდე არ არის გარკვეული. ნეიტრონულ ასტროფიზიკას შეუძლია ისეთ კითხვებზე გაგვიცხადოს პასუხი, თუ სად და როგორ ხდება კოსმოსური სხივების აჩქარება, როგორ ხდება ზეახალი ვარსკვლავის წარმოქმნა და რას წარმოადგენს ბნელი (უხილავი) მატერია. კვლევებმა ნეიტრონულ ფიზიკასა და ასტროფიზიკაში 4-ჯერ — 1988, 1995, 2002 და 2015 წლებში სამეცნიერო საზოგადოების უმაღლესი ჯილდო, ნობელის პრემია დაიმსახურა.

თბილისში ჩატარებულ სამეცნიერო

კონფერენციას ესწრებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საერთაშორისო კონფერენცია ნეიტრონების ფიზიკასა და ასტროფიზიკაში მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოვლენაა, რომელშიც უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული: „საამაყოა, როდესაც საქართველოში ასეთი რანგის ღონისძიება ტარდება და მასში ქართველი მეცნიერები, დოქტორანტები და მაგისტრანტები იღებენ მონაწილეობას. ისინი ავითარებენ პროგრამას და მუშაობენ იმ მონაცემებზე, რომელიც ჩვენი უცხოელი პარტნიორებისგან მოდის. ეს არის უნიკალური პროექტი, რომლის წარმატებაზეც მომავალში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული“, — აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა მიხეილ ნიორაძემ KM3NeT-ს გრანდიოზული ექსპერიმენტი უწოდა და განაცხადა, რომ ნეიტრონული შეუძლია მოგვცემა ინფორმაცია შორეული გალაქტიკებიდან, ამიტომაც, ნეიტრონების ფიზიკა ძალიან დიდ ინტერესს იწვევს არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. „ჩვენი ინსტიტუტი მრავალ საერთაშორისო თანამშრომლობაში იღებს მონაწილეობას. ამ საერთაშორისო თანამშრომლობას 2 წლის წინ შეუერთდით. ჩვენი ძირითადი წვლილი ამ ექსპერიმენტში იქნება ინტელექტუალური, რადგან მატერიალურ წვლილს ჩვენ ვერ გავწევდებით — ექსპერიმენტი ძალიან ძვირია“, — აღნიშნა მან.

კონფერენციის მონაწილე უცხოელ მეცნიერთა შორის იყო გენუას (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორი მაურო ტაიუტი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობას KM3NeT ექსპერიმენტში



რევაზ შანიძე

და აღნიშნა, რომ „თსუ-ის მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ფოტოსენსორების შესწავლასა და შერჩევაში. დღეს ისინი მუშაობენ გამოთვლებზე, რათა დეტექტორი სამომავლო გამოყენებისთვის მოამზადონ და შეისწავლონ.“

თანამშრომლობის წარმატებას გაუსწავს ხაზი ექსპერიმენტის ბორდის ხელმძღვანელმა ქრისტოს მარკუმ და წამყვანმა მეცნიერმა ანტუან კუშნერმა, რომელმაც გვითხრა, რომ ამ ეტაპზე აწარმოებენ მონაცემთა ანალიზს და ამ პროცესში ქართველი მეცნიერებიც არიან ჩართულნი: „მოხარულები ვართ, რომ საქართველოში ვიმყოფებით. ქართველი მეცნიერები უკვე წლებია, რაც საკმაოდ წარმატებით მუშაობენ ჩვენთან ერთად ამ კოლაბორაციაში და მინდა გითხრათ, რომ ისინი მაღალი დონის მეცნიერები და საქმის პროფესიონალები არიან, რაც ძალიან დაეხმარება პროექტს“, — აღნიშნა ანტუან კუშნერმა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ნეიტრონების ფიზიკასა და ასტროფიზიკაში 1 მარტს დასრულდა.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო აქტივობის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოში სამეცნიერო კვლევის მენეჯმენტის ერთიანი სისტემა შეიქმნება, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სხვა უნივერსიტეტებთან ერთად ჩაერთვება. ქართველი მეცნიერ-მკვლევარების მიერ შესრულებული კვლევები ხელმისაწვდომი გახდება ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის უმსხვილესი პროგრამის ჰორიზონტი 2020-ისა და სხვა საერთაშორისო ფონდებისთვის. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+-ის KA2 პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტი HERD-ის („საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“) პირველი სამუშაო შეხვედრა თსუ-ში გაიმართა.

პროექტი 17 სრული და 3 ასოცირებული პარტნიორისგან შედგება, მათ შორისაა: საქართველოს 12 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 5 სამთავრობო სააგენტო და 3 ევროპული უნივერსიტეტი.

პირველ სამუშაო შეხვედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძე, ერაზმუს+-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლიკა ლლონტი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ინფორმაციით, პროექტი ხელს შეუწყობს მეცნიერების დაგეგმარებასა და განვითარებას. „პროექტში 12 ქართულ უნივერსიტეტთან ერთად საფრანგეთის და გერმანიის უნივერსიტეტები არიან ჩართული. ჩვენი საბოლოო მიზანია მეტად დაეუზახლოდეთ ევროპის უმაღლესი განათლების და კვლევის სივრცეს. იმედი გვაქვს, პროექტის ფარგლებში მიღებულ შედეგებს გა-



ნათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრო გამოიყენებს როგორც სახელმძღვანელოს, რათა ყველა ქართულ უმაღლეს სასწავლებელში ჩამოყალიბდეს მსგავსი სტრუქტურული ერთეულები“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ირინა აბულაძემ იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული პროექტი ქართველ მეცნიერებს საერთაშორისო ასპარეზზე უფრო მეტად გაუხსნის გზას. „პროექტი განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის, მეცნიერების ახალი მოდელის დანერგვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პროექტის ფარგლებში გაერთიანებული პორტალი შეიქმნება, სადაც ამ უნივერსიტეტების სამეცნიერო პოტენციალის შესახებ ინფორმაცია სრულად განთავსდება“, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

თსუ-ის პროფესორის, პროექტის კოორდინატორის მარინა ჩიტაშვილის თქმით, პროექტი მეცნიერებს ევროპულ სტრუქტურებში პარტნიორების მოძიებასა და ერთიანი გრანტების მოპოვე-

ბაში დაეხმარება. „ჩვენ გვინდა, ახალგაზრდა მეცნიერებს შესაძლებლობა ჰქონდეთ — საკუთარ კვლევასთან დაკავშირებით, მთელი საქართველოს მასშტაბით, სრული ინფორმაცია მიიღონ, მოიძიონ პროფესიონალები და მათთან გაიარონ კონსულტაციები. მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველოში ადმინისტრაციულ დონეზე კვლევასთან დაკავშირებული მთლიანი სისტემა მოწესრიგდება და მისი მართვა, აღრიცხვა და წარდგენა გამარტივდება“, — განაცხადა მარინა ჩიტაშვილმა.

ევროპის პროექტების ცენტრის ხელმძღვანელის კრისტინა გერპარდისის ინფორმაციით, პროექტი მეცნიერების განვითარების სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილებაა. „მოხარულები ვართ, რომ ვმონაწილეობთ ასეთ მნიშვნელოვან პროექტში. იმედი გვაქვს, შევძლებთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ კვლევის, სასწავლო პროგრამების განვითარებაში. ვფიქრობთ, ეს პროექტი ჩვენს ევროპულ პარტნიორებს სარგებელს და გამოცდილებას მოუტანს უნივერსიტეტებში და მის ფარგლებს გარეთ“, — აღნიშნა ცენტრის ხელმძღვანელმა.

აღნიშნული პროექტის ხანგრძლივობა მოიცავს 2 წელს. მისი ძირითადი მიზანია წვერი უნივერსიტეტების კვლევითი სამსახურების მოდერნიზაცია, კვლევითი პოტენციალისა და ხარისხის გაზრდა, სწავლებისა და კვლევის კომპონენტების ინტეგრირება ინსტიტუციურ დონეზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროექტით ხორციელდება შემდეგი აქტივობები: საქართველოს 12 უნივერსიტეტისთვის ერთობლივი კვლევითი პლატფორმის შექმნა; საქართველოს კვლევითი ინტერნეტ-პორტალის შექმნა; კვლევების მენეჯმენტისა და მონაცემთა ანალიზის დამუშავებისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესება ადმინისტრაციული პერსონალისთვის; წვერი უნივერსიტეტებში კვლევის პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობა.

სესიები 27-28 თებერვალს გაიმართება. შეხვედრის მონაწილეები განიხილავენ პროექტის დაწყების პირველ ფაზას, დაგეგმავენ წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებს და შეთანხმდებიან მისაღწევი შედეგების გამოწვევებისა და რისკ-ფაქტორების შესახებ. დეტალურად განიხილავენ პროექტის ადმინისტრირებისა და განხორციელების გზებს.

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ მორჩვეულს, პროფესორ ჯეფრი ღვიძლ საქსს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

ყველაზე გავლენიანი ცოცხალი ეკონომისტი“, „მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ეკონომისტი“, მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომისტი“ — ასე მოიხსენიებენ მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი მედიასაშუალებები ჯეფრი საქსს, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. საზეიმო ცერემონიის შემდეგ, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა მრჩეველმა, პროფესორმა ჯეფრი საქსმა თსუ-ის სტუდენტებისა და პროფესორებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ციციშვილი, პარლამენტის წევრები, პროფესორები, სტუდენტები ესწრებოდნენ.

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ გავხდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. ეს არის უნივერსიტეტი, რომელმაც ერთი წლის წინ იზეიმა დაარსებიდან 100 წლის იუბილე. მომეცა საშუალება, რომ უნივერსიტეტისათვის გამეზიარებინა მნიშვნელოვანი მესიჯები მდგრადი განვითარების მნიშვნელობაზე და ამაში უნივერსიტეტის მონაწილეობაზე. ჯანდაცვა, განათლება, ფინანსები და მთავრობის ახალი მიდგომა, რომ ქვეყნის შემოსავლების დიდი ნაწილი მოხმარდეს განათლებაში — არის სწორი გზა. მიხარია, რომ საქართველომ აირჩია ეს გზა და ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი ამ ნა-



მოწყობის მიმართ“, — აღნიშნა ჯეფრი საქსმა.

ასეთი რანგის ადამიანების სტუმრობა საქართველოში ძალიან საინტერესო და მისასალმებელია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. მისი თქმით, „ის, რომ ჯეფრი საქსი გახდა ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო

დოქტორი, მართლა საპატიოა არა მხოლოდ მისთვის, არამედ ჩვენთვისაც. ჯეფრი საქსი კვლავ დაბრუნდება საქართველოში, კვლავ გვექნება საშუალება, რომ სტუდენტებმა მოუსმინონ მის ლექციებს, ჩვენმა პროფესორებმაც იქონიონ მასთან კონკრეტული კავშირი გამომდინარე მათი საგნიდან. იმედი,

რომ ჩვენი მთავრობაც ჩაერთვება ამ საქმიანობაში, რადგან ჯეფრი საქსი ძალიან ბევრ წარჩინებულ პროექტს ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ბევრ ქვეყანაში“.

თსუ-ის სტუდენტებსა და პროფესორებს ჯეფრი საქსი საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზებსა და შესაძლებლობებზე ესაუბრა. „საკმაოდ საინტერესო ლექცია ჩაატარა ჯეფრი საქსმა, რომელმაც ისაუბრა როგორც ქვეყნის ეკონომიკურ, ისე გლობალურ გამოწვევებზე — გარემოს დაცვაზე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მისი მოსმენა, ვინაიდან ბევრი საინტერესო ინფორმაცია გავიგე. ზოგადად, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია ასეთი ადამიანების მოწვევა ჩვენს უნივერსიტეტში“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტმა საბა სახვაძემ.

ჯეფრი დევიდ საქსი არის მსოფლიოში ცნობილი პროფესორი ეკონომიკის დარგში, ყველაზე გაყიდვადი წიგნების ავტორი, ინოვაციური მასწავლებელი და მსოფლიო ლიდერი მდგრადი განვითარების სფეროში. კოლუმბიის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებამდე 20 წელზე მეტი პარაგრაფის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. იგი გაეროს მდგრადი განვითარების ქსელის დირექტორი, ასევე განვითარების საკითხებში გაეროს ფართო დიპაზონის კომისიის კომისარი და გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერესის სპეციალური მრჩეველია. პროფესორი საქსი „ცისფერი პლანეტის“ 2015 წლის ჯილდოს ერთ-ერთი მფლობელია.



სამუშაო ვიზიტები საზღვარგარეთ და ახალი გამოცდილება

მაია ბორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების კუთხით არაერთ პროექტშია ჩართული. ამ მიზნით თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოვსიანიკოვა და საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი თეა გერგე-დავა, „ერასმუს“-ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის ფარგლებში, იმყოფებოდნენ ლილის (საფრანგეთი) კათოლიკურ უნივერსიტეტსა და შპაიერის (გერმანია) უნივერსიტეტში.

შეხვედრების მიზნების, ახალი საერთო პროექტებისა და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი თეა გერგე-დავა გვესაუბრა:

— **ქალბატონო თეა, რატომ შეირჩა ლილის უნივერსიტეტი და რითაა ის გამორჩეული პარტნიორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის?**

— ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პარტნიორია, განსაკუთრებით გაცვლით პროგრამებში — როგორც სტუდენტების, ისე პროფესორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის. ამ უნივერსიტეტში ჩვენ ყოველწლიურად 10-მდე სტუდენტს ვაგზავნი. ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი სასწავლო დაწესებულებაა საფრანგეთში, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების, სამედიცინო და საინჟინრო მიმართულებებით. ამ უნივერსიტეტს არაერთი ნაციონალური ჯილდო აქვს მოგებული.

ჩვენი ვიზიტი ლილის უნივერსიტეტში გასული წლის დეკემბერში განხორციელდა. ძირითადი მასპინძელი იყო უნივერსიტეტის პრეზიდენტი, რომელმაც ძალიან დიდი ყურადღება დაგვითმო. საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრები გვქონდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ორ ვიცე-რექტორთან, საგარეო ურთიერთობების სამსახურთან, ასევე კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტთან.

— **რა იყო ვიზიტის მიზანი და რა სამუშაოები ჩატარდა მის ფარგლებში?**

— ჩვენი ვიზიტის მიზანი იყო, გვეჩვენა, თუ როგორაა მოწყობილი ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, როგორ არის გადაწვენილებული ბალანსი ფაკულტეტის ადმინისტრაციებსა და ცენტრალურ ადმინისტრაციას შორის და რა არის ის საუკეთესო მაგალითები, რომელთა გათვალისწინება და გადმოტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქნება შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დატვირთული სამუშაო დღეები გვქონდა. შევხვედით თსუ-ის (ძირითადად, იურიდიული ფაკულტეტის) სტუდენტებს, რომლებიც ლილის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით იმყოფებიან. სტუდენტებთან ერთად მიმოვიხილეთ ის სიახლეები, რომლებიც მათ დახვდათ პარტნიორ უნივერსიტეტში, ასევე, მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, განვიხილეთ — რა შეიძლება გავითვალისწინოთ უნივერსიტეტში მომავალი გაცვლითი პროგრამისთვის. იმასაც აღვნიშნავ, რომ გარკვეული შენიშვნები შეეხებოდა ლილის უნივერსიტეტში სტუდენტურ სერვისებსა და აკომოდაციის პრობლემებს.

ვიზიტის ბოლოს მოგვეცა საშუალება, რომ დაინტერესებული პირებისთვის გაგვეკეთებინა პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ. ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ დიდი აუდიტორია შეიკრიბა. პრეზენტაცია მოიცავდა დისკუსიასა და კითხვა-პასუხს. დიდი დაინტერესება გამოიწვია უნივერსიტეტის საერთაშორისო აქტივობებმა, რომელსაც ჩვენ როგორც თბილისში, ისე საზღვარგარეთ ვახორციელებთ. მათ შორის განსაკუთრებული მონონება გამოიწვია საზღვარგარეთ ქართული ენის სწავლების პროგრამამ.

— **რა კონკრეტული შედეგებით დასრულდა ვიზიტი ლილის უნივერსიტეტში?**

— აპრილის პირველ კვირაში თსუ-ში დაგეგმილია პერსონალის საერთაშორისო კვირეული, რომლის შესახებ ლილის უნივერსიტეტშიც განვაცხადეთ. ამ ინფორმაციამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია და საერთაშორისო კვირეულზე ლილის კათოლიკური უნივერსიტეტიდან რამდენიმე მონაწილე გვესტუმრება.

ძირითადი და კონკრეტული შედეგი, რაც ამ ვიზიტის შედეგად მივიღეთ, არის ის, რომ ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურთან ერთად ვიმუშავეთ „ერასმუს“-ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროექტზე, რომელიც ვიზიტის განმავლობაში ერთობლივად დავწერეთ. აპლიკაცია ევროკომისიის საპროექტო განყოფილებაში 12 თებერვალს წარვადგინეთ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საპროექტო განაცხადი დაფინანსდება და მომავალშიც გვექნება ფინანსური რესურსი, რომელიც მობილობას ორივე მხარისთვის გახდის შესაძლებელს.

შედეგებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლილის უნივერსიტეტში განსაკუთრებით ძლიერია ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულება. ჩვენ არაერთ თანამშრომელს შევხვედით, რომლებიც აკადემიურ ხარისხზე, როგორც ცენტრალურ, ისე ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების



დონეზე აგებენ პასუხს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ქალბატონმა ნუნუ ოვსიანიკოვამ საინტერესოდ ჩათვალა, რომ ჩვენი ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი ენვის ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტს. ეს საკითხი ადგილზევე დავაყენეთ და დადებითად გადაწყდა. ქალბატონი ირმა გრძელიძე მიმდინარე სემესტრში ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტს ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში კიდევ ერთი საინტერესო პროგრამა დაიგეგმა და განხორციელდა — ლილის უნივერსიტეტში მოქმედებს ფრანგული ენის კულტურისა და საზოგადოების გაცნობის სპეც-კურსი, რომელზეც თსუ-დან რამდენიმე წარმომადგენელი იქნა მიწვეული. ჩვენ ამისთვის გამოვაცხადეთ კონკურსი, რომლის კომისიის თავმჯდომარეც ქალბატონი ნუნუ ოვსიანიკოვა გახლდათ. შედეგად, ღია/გამჭვირვალე კონკურსით შერჩეული თსუ-ის რამდენიმე წარმომადგენელი 3 კვირით ეწვევა ლილის უნივერსიტეტს. ორგანიზატორები მონაწილეებს ინტენსიურ და საინტერესო პროგრამას ჰპირდებიან.

— **ქალბატონო თეა, „ერასმუს“-ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის ფარგლებში, შპაიერის უნივერსიტეტშიც იმყოფებოდით. ამჯერად რა აქტივობებს მოიცავდა თქვენი ვიზიტი?**

— შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტს, ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვასთან ერთად, იანვრის ბოლო კვირას ვწვევით. ეს უნივერსიტეტიც ჩვენი ერთ-ერთი ახლო და სტრატეგიული პარტნიორია. აღსანიშნავია, რომ წელს თსუ-სა და შპაიერის უნივერსიტეტის ერთობლივ პროგრამას საჯარო ადმინისტრირებაში, რომელიც თსუ-ში ხორციელდება, 10 წელი უსრულდება. ეს არის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც სხვადასხვა ეტაპზე გერმანული საგანმანათლებლო ფონდი აფინანსებს. ვიზიტის ფარგლებში შევხვედით რექტორს, პრორექტორს, ყოფილ რექტორს, საგარეო ურთიერთობების მიმართულების წარმომადგენლებსა და პროფესორებს,



რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი და კოორდინაციას უწევენ ჩვენს ერთობლივ პროგრამას.

ვიზიტის მიზანი იყო პროგრამის განმარტოვებელი და პასუხისმგებელი პირების ახლო გაცნობა, ასევე, იმ სტანდარტების ადგილზე განხილვა, რომელიც შპაიერის უნივერსიტეტში არსებულ ერთობლივ სამაგისტრო და სწავლების სხვა დონის პროგრამებს არეგულირებს.

გავეცანით ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებს, კერძოდ, მექანიზმებსა და შეფასების ფორმებს. ცხადია, ეს ეხებოდა როგორც ერთობლივი პროგრამის, ისე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფას. ვიზიტის დროს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ადამიანური რესურსების მართვა იყო. გავეცანით იმ მექანიზმებს, რომელსაც შპაიერის უნივერსიტეტი საქმიანობის სხვადასხვა ეტაპის ხარისხის შესაფასებლად იყენებს. შევისწავლეთ და გავანალიზეთ კითხვარები, ელექტრონული ფორმები, ჩალრმავებული ინტერვიუ და სხვადასხვა მექანიზმები, რასაც ისინი იყენებენ. მათ დაგვაკავშირეს მაინცის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუტთან, რომელიც გერმანიის იმ რეგიონის უნივერსიტეტებისათვის საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს.

შპაიერის მივლინებაც სრულად დაფინანსდა ევროპის კომისიის მიერ. ვიზიტის ფარგლებში დეტალურად განვიხილეთ ის გეგმა, რომლის მონახაზიც ჩასვლისას უკვე არსებობდა: აპრილის პირველ ნახევარში საზეიმოდ აღინიშნება ჩვენი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის 10 წლისთავი, რომელსაც შპაიერის უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის მქონე პირები და ის პროფესორები დაესწრებიან, რომლებიც ამ პროგრამაში არიან ჩართულნი.

რაც შეეხება კონკრეტულ შედეგს — დღე-ნახევარი ვისხედით ჩვენს კოლეგებთან ერთად და ერთობლივად ვწერდით საპროექტო განაცხადს, რომლის წარდგენაც უკვე მოხდა და, როგორც ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის, ისე შპაიერის შემთხვევაში, შედეგებს ივლისის ბოლოს ველოთ.



ტსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის მთავარი აქცენტები

2018 წლის 27 აგვისტოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს (№53) გადაწყვეტილებით, ხელახალი ავტორიზაცია 6 წლის ვადით მიენიჭა. ავტორიზაცია გზა გაუხსნა ახალ პროექტებსა და პერსპექტივებს.

2018 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით:

- სწავლა, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
- ხარისხის გარე შეფასებები და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების კოორდინაცია;
- სტუდენტური აქტივობების მხარდაჭერა;
- პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

სულ ტსუ-ში 219 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა მუშაობს, მათგან გასულ წელს ხელახალი აკრედიტაცია გაიარა ექვსმა პროგრამამ, მათ შორის არის:

- 2 საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამა (ბიზნესის ადმინისტრირება, ჟურნალისტიკა (ქართულ/რუსულ ენოვანი));
 - 2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი);
 - 2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ურთიერთობები);
 - 2018 წელს ასევე აკრედიტებულია ოთხი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის:
 - 1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი ჯანდაცვა);
 - 1 ინტეგრირებული (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) საგანმანათლებლო პროგრამა;
 - 2 სადოქტორო (ურბანისტიკა ინგლისურენოვანი, საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა მათემატიკაში (დაფუძნებული ფოლკსვაგენის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით) საგანმანათლებლო პროგრამა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით ამჟამად სააკრედიტაციოდ წარდგენილია:
- 1 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული მეცნიერება;
 - 1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიგრაციის მართვა;
- მომზადების ფაზაშია:
- 1 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ქიმიკა-ბიოქიმიკა;
 - 3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ევროპული კვლევები,



ირმა გრიგოლაშვილი

პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება (ინგლისურენოვანი) და მედიაციოლოგია და კომუნიკაციები (ინგლისურენოვანი).

როგორც ჩვენთან საუბარში ტსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირმა გრიგოლაშვილი აღნიშნავს, დაინყო მუშაობა პროფესიული განათლების სამაგისტრო პროგრამის შემუშავების მიმართულებით.

ამავე დროსთვის, მონიტორინგი განხორციელდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორ საგანმანათლებლო პროგრამასა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 საგანმანათლებლო პროგრამაზე (კულტურული კვლევების საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამები და გეოგრაფიის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამები);

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ლიდერი უნივერსიტეტი სახრეთ კავკასიაში, მუდმივად ცდილობს დანერგოს ევროპული განათლების სხვადასხვა პროგრამა, რისი დასტურიცაა ის, რომ 2018 წელს დაინყო საერთაშორისო აკრედიტაციისთვის ორი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება, მათგან: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ წარდგენილი იქნება ABET-ის აკრედიტაციაზე, ხოლო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიკა-ბიოქიმიკა“ წარდგენილი იქნება ამერიკის ქიმიის ასოციაციის აკრედიტაციაზე;

უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მხარს უჭერს ფაკულტეტებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და რეაკრედიტაციის ყველა ეტაპზე. კონსულტაციებისა და ტრენინგების საშუალებით ხელს უწყობს უნივერსიტეტში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე

მეთოდების დანერგვას, პროგრამების შემუშავებისა და თვითშეფასების პროცესის მართვას. ფაკულტეტებთან ერთად უზრუნველყოფს თვითშეფასების ანგარიშისა და ანგარიშის დანართით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებას, უზრუნველყოფს პროგრამების პაკეტის შიდა შეფასებას და პროგრამების ხელმძღვანელებს აძლევს რეკომენდაციებს მათი სრულყოფის მიზნით. ასევე უზრუნველყოფს შესაბამისი მიმართულების/პროგრამების ცვლილებების პაკეტის წარდგენას აკადემიურ საბჭოებზე დასამტკიცებლად.

ტსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ დაინიშნა ლონისძიებარის განხორციელება ევროპის სტუდენტურ გაერთიანებაში (ESU) გასანავრჩიანებად

იმ საქმიანობებს შორის, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს, აღსანიშნავია სტუდენტური აქტივობების მხარდაჭერა და მათი ჩართვა უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. ამ მიზნით სისტემატურად ტარდება შეხვედრები ტსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.

აქვე უნდა ითქვას, რომ სამსახურის ხელშეწყობით ტსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ დაინიშნა ლონისძიებების განხორციელება ევროპის სტუდენტურ გაერთიანებაში (ESU) გასანავრჩიანებად. ევროპის სტუდენტური გაერთიანების წარმომადგენელთან დაიგეგმა და შედგა ონლაინ-კონსულტაციები სკაიპის მეშვეობით. ტსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ მიიღო მონაცემები — მონაწილეობა მიიღოს ევროპის სტუდენტური გაერთიანების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში.

ზრუნვა უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებაზე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებაზე. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ, პროფესიული განვითარების ფარგლებში, 2018 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ტრენინგები ავტორიზაციის ახალი სტანდარტების გაცნობის მიზნით (შვიდი შეხვედრა), რომელშიც მონაწილეობა მიიღო ტსუ-ის აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა;
- ტრენინგები აკრედიტაციის ახალი სტანდარტების გაცნობის მიზნით (სამი შეხვედრა);
- მედიაციის ფაკულტეტისთვის მიზნობრივი სემინარი თემაზე: „პრო-

გრამის სტრუქტურა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით“ (ექსპერტი ქრ. სტეფენსი, დიდი ბრიტანეთი);

- ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს სემინარი თემაზე „ABET-ის აკრედიტაციის სტანდარტები და მიღების პროცედურები“ (ექსპერტი ჯ. ტურნერი).

როგორც ირმა გრიგოლაშვილი აღნიშნავს, ასევე დაიგეგმა და მომზადების პროცესშია საერთაშორისო სემინარი (ავტონომიისა და პასუხისმგებლობის დესკრიპტორთან დაკავშირებული სწავლის შედეგების სწავლება და შეფასება; ექსპერტი ალ. სიბონი, დანია); ასევე, განათლების მეცნიერებების მიმართულების პროგრამის განმსახორციელებელი პერსონალის გადამზადება პროგრამის განვითარებისა და თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის მომზადების მიზნით (ექსპერტი მ. პოლი);

ასევე დაგეგმილია ცენტრალური და ალმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის სააკრედიტაციო თბილისის ოფისის (AUF) პროექტი — ხარისხის კულტურის გაძლიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც განახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის:

— ორ ორდღიან სემინარს 20-კაციანი ჯგუფისთვის (თემატიკა: ხარისხის უზრუნველყოფა და მენეჯმენტი, სადოქტორო პროგრამები და ინტერნაციონალიზაცია);

— ორი საგანმანათლებლო პროგრამის გარეშეფასებას (მედიცინა, სამართალმცოდნეობა);

დაგეგმილია ასევე გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის თანამონაწილეობა და ფინანსური მხარდაჭერა (DAAD) შემდეგი აქტივობების ფარგლებში:

— დამატებითი ჩართულობა და გადამზადება აკადემიური კეთილსინდისიერების პროექტის ფარგლებში (INTEGRITY);

— საერთაშორისო სემინარის მოწყობა აკადემიური პერსონალის გადამზადების მიზნით (აკადემიური წერა);

— გადამზადების კურსი უცხოურ უნივერსიტეტში აკადემიური წერის განმსახორციელებელი პერსონალისათვის: მომზადდება პროექტი DAAD-ს ფინანსური მხარდაჭერით (მოსალოდნელი შედეგი: აკადემიური კეთილსინდისიერების პროექტის მხარდაჭერა, აკრედიტაციის პროცესისათვის მომზადება);

— საერთაშორისო ტრენინგი, თემატიკა: დარგობრივი კვლევის მეთოდები (ტრენინგები თბილისში) საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით (20 მონაწილე, გაზაფხული, შემოდგომის სემესტრები);

ამ ეტაპზე ავტორიზაციის რეკომენდაციებისა და ზემოაღნიშნული კვლევების ანალიზზე სამსახურის მიერ მომზადებულია 2019 წლის სამოქმედო გეგმა.

მე ვირჩევ ჩემს მომავალს

ნარკოტიკების მოხმარების შემცირების პროგრამის „მე ვირჩევ ჩემს მომავალს“ ფარგლებში საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი როს იულსონი და აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ტსუ-ის სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ალექსანდრე ცისკარიძე, სტუდენტები, პროფესორები ესწრებოდნენ.

პროგრამის მიზანია სკოლის მოსწავლეების, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და, ზოგადად, ახალგაზრდობის ინფორმირება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მავნებლობის შესახებ.

ტსუ-ის რექტორის მოადგილის ალექსანდრე ცისკარიძის ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზადაა ხელი შეუწყოს პრობლემის

მოგვარების გზებისა და საშუალებების პოპულარიზაციას, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დიალოგის ეფექტიანად წარმართვას. „ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებს ესაუბრონ იმ უდიდესი ზიანის შესახებ, რომელსაც ნარკოტიკების მოხმარება იწვევს. საქართველოში ძალიან სერიოზულ პრობლემად აღვიქვამთ ნარკოტიკების მოხმარებას. ჩვენ ვცდილობთ ამ პრობლემისგან გამორჩეული ზიანის შემცირებას და პირველ რიგში, ეს ეხება პრევენციულ ღონისძიებებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“, — განაცხადა ტსუ-ის რექტორის მოადგილემ.

აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის როს იულსონის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს წარმატებულ მომავალს. „ჩვენი მიზანია, ახალგაზრდებს ჯანმრთელი ცხოვრებისა და ნარკოტიკების არ გამოყენებისაკენ მოვუწოდოთ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მათი



განვითარებისათვის“, — აღნიშნა როს იულსონმა. სანდრო მარანელი ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია. მისი თქმით, ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება აუცილებელია. „დღეს

ნარკოდამოკიდებულების პრობლემა ნამდვილად არსებობს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია გვექონდეს, რათა შემდგომში გართულებები ავირიდოთ თავიდან“, — აღნიშნა სტუდენტმა.





აკადემიკოსები

ახლად არჩეული 5 აკადემიკოსი თსუ-დან

ნაბო ობოლაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აკადემიის ახალი წევრები აირჩია. არჩეული აკადემიკოსებიდან 5 მათგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია: გეოლოგიის მიმართულებით აკადემიკოსის სტატუსის პროფესორ დავით ლორთქიფანიძეს მიენიჭა, დემოგრაფიის მიმართულებით — პროფესორ ვაჟა ლორთქიფანიძეს, დედამინის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგში — პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძეს, აკადემიკოსი ნოდარ კეკელიძე ექსპერიმენტული ფიზიკის მიმართულებით აირჩიეს, „ენა, ლიტერატურა, ხელოვნება და კულტურის“ სფეროში კი აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი გახდა. შეგახსენებთ, რომ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად აკადემიკოსად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩიონ საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მალალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში“ (ამონარიდი აკადემიის წევრად არჩევის მოთხოვნიდან).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება, სადაც აკადემიის ახალი წევრები აირჩიეს, 2018 წლის 26 დეკემბერს გაიმართა.

„შედეგი მაშინ არის ღირსსაცნობი და თვალსაჩინო, როცა ის საკადრისი პროცესის დასასრულია. ამდენად, უღრმესი მადლობა ყველას, ვინც უზრუნველყო, რომ ეს პროცესი ზედმინებით აკადემიური, ჰუმანური და მართებული ყოფილიყო, დაწყებული აკადემიის ხელმძღვანელებიდან, დამთავრებული აკადემიკოსთა საერთო კრებით, რომელიც 26 დეკემბერს შედგა. ჩემს შემთხვევაში განსაკუთრებული მადლობა აკადემიის იმ განყოფილებას, რომელმაც ერთდერო ვაკანსიაზე ხმათა უმრავლესობით ამირჩია 18 დეკემბერს. ვსარგებლობ შემთხვევით და პატივისცემას გამოვხატავ იმ თორმეტი მეცნიერის მიმართ, ჩემთან ერთად რომ მონაწილეობდა კონკურსში სპეციალობით „ენა, ლიტერატურა, კულტურა“.

კონკურსში მონაწილეობა დიდი გამოწვევა იყო, მასში გამარჯვება — უდიდესი პასუხისმგებლობაა. ჩემი მიზანია, მეტი სიკეთე შევიძინო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და უფრო ფართოდ გავუთქვა მას სახელი საერთაშორისო ასპარეზზე.

და ბოლოს, გამორჩეული მადლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც მე, როგორც მისი პროფესორი და კათედრის ხელმძღვანელი, კონკურსში წარმადგინა“, — აღნიშნა აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა.

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩევა არჩევა ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა. მნიშვნელოვანია ის, რომ დემოგრაფიის დარგში გამოიყო სპეციალური ადგილი და ამ მიმართულებით მე ამირჩიეს. აკადემიის წევრად არჩევა დამატებით შესაძლებლობას მომცემს, რომ დემოგრაფიის დარგის განვითარებას ხელი უფრო მეტად შევუწყო. ამ დარგს ეს სჭირდება, რადგან მსოფლიოს მასშტაბით შედარებით ახა-

ლი და სწრაფად განვითარებადი მეცნიერებაა,“ — განაცხადა აკადემიკოსმა ვაჟა ლორთქიფანიძემ.

„ქართველი მეცნიერისთვის ეს ყველაზე დიდი აღიარება და პატივია — იყო საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი. ჩემთვის, როგორც მეცნიერისთვის, მთავარ პრობლემად რჩება ადამიანის ევოლუცია და მისი ბუნებრივი გარემო, ვმუშაობ უძველესი დომესტიკაციის, უძველესი მინამოქმედების გაჩენის საკითხებზე. ვხელმძღვანელობ პროგრამას, რომელიც არის უძველესი დღინის წარმოშობასთან დაკავშირებული. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერების კომუნიკაცია. ეროვნული მუზეუმი გახლავთ ის პლატფორმა, საიდანაც ხდება სამეცნიერო ცოდნის გავრცელება და ვცდილობ, რომ ამან სისტემური ხასიათი მიიღოს“, — აღნიშნა აკადემიკოსმა დავით ლორთქიფანიძემ.

306 რა დამსახურებისთვის გახდა აკადემიკოსი?



აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთეფროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა. 1978 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, რომელიც XX საუკუნის ინგლისური და ამერიკული ლექსის ლინგვო-სტილი-სტიკურ ანალიზს მიეძღვნა. 1980 წლიდან მუშაობას იწყებს სადოქტორო დისერტაციაზე დიდი რუსი ანგლისტიკოსი და ლექსიკოგრაფის ილია გალპერინის ხელმძღვანელობით. ნაშრომის მიზანია, ინგლისელი პოეტის გორჯ გორდონ ბაირონის პოეზიის მაგალითზე, ტექსტის ლინგვისტიკური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ჩატარება. ბაირონით შთაგონებული ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი პარალელურად იწყებს ბაირონის ქართულ თარგმანზე მუშაობას და ეტაპობრივად მისდამი მიძღვნილი 5 წიგნს გამოსცემს. სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პროცესში საკვლევი ტექსტი სცდება ბაირონის შემოქმედებას და XIX-XX საუკუნეების ქართულ, ინგლისურ და რუსულ პოეზიას მოიცავს. კვლევა პოეტური ტექსტის შინაარსობრივი სისტემის განვითარებასა და ლინგვო-სტილისტიკური ანალიზის ახალი მეთოდოლოგიის შექმნას გულისხმობს.

ენათმეცნიერების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ინესა მერაბიშვილის კონცეფცია სიტყვის მნიშვნელობის, სემური ანალიზისა და ლინგვისტიკური ანალიზის ახალი მეთოდოლოგიის შექმნას გულისხმობს.

ფერატმა მსოფლიოს წამყვანი არაერთი დიდი ლინგვისტიკის მალალი შეფასება დაიმსახურა.

1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინესა მერაბიშვილმა დააფუძნა საქართველოს ბაირონის საზოგადოება, რომელიც ბაირონის საერთაშორისო ასოციაციამ თავის დამოუკიდებელ წევრად აღიარა. იქიდან მოყოლებული დღემდე ქალბატონი ინესა მერაბიშვილი საქართველოში ამ საზოგადოების პრეზიდენტი, ხოლო 1995 წლიდან ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრია.

2005-2009 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორი ინესა მერაბიშვილი აფუძნებს სამაგისტრო პროგრამას „თარგმანი და კულტურათმშობის ურთიერთობები“ (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) და სადოქტორო პროგრამას „თარგმანმცოდნეობა“, რომელთაც დღემდე თავად ხელმძღვანელობს. 2011-2012 წლებში სათავეში ედგა თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტს, ხოლო 2012 წლიდან დღემდე არის მისივე დაარსებული თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი დასავლეთეფროპის ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი სადოქტორო დისერტაცია.

აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 20 წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი. იგი სისტემატურად მონაწილეობს როგორც ლორდ ბაირონის, ასევე თარგმანისა და ლინგვისტიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებში. მოხსენებები და ლექციები წაკითხული აქვს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის ლონდონის, ნოტინგემის, ლივერპულის, მანჩესტერის, ედინბურგის, სენტ-ენდრიუსის, დუბლინის, ათენის, პარიზის, ვერსალის, მადრიდის, როტერდამის, მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, კიოტოს, გდანსკის, ნიუ-იორკის, დელავარისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში. იგი არის არაერთი საერთაშორისო საზოგადოების წამდვილი და საპატიო წევრი, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის პოსტ-კონფლიქტურ კულტურათა კვლევის საერთაშორისო კონსორციუმის დირექტიორთა საბჭოს წევრი.

მის მიერ განვითარებულმა პოეტური ტექსტის შინაარსობრივი ანალიზის მეთოდოლოგიამ საშუალება მისცა მას, გამოეკვლია, და რაც მთავარია, აეხსნა გალაკტიონის უჩვეულო შესიტყვებები და სიმბოლოები, რაც მნიშვნელოვან სიახლედ მოგვევლინა ქართულ ფილოლოგიაში. ეს კვლევა ასახულია მის ორ მონოგრაფიაში — „გალაკტიონის ენიგმაები“ (2003 წ.) და „გალაკტიონის Meri — პროტოტიპის ძიებაში“.

პროფესორი ინესა მერაბიშვილი ავტორია ისეთი პოპულარული მონოგრაფიებისა, როგორც: „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“, „თარგმანი — კულტურათა დიალოგი“, „ლორდ ბაირონის თირზა“ და „შეხვედრა ლორდ ბაირონთან“. იგი პოპულარული გახდა, აგრეთვე, მრავალი სხვა ნოვატორული ნაშრომით, რომელიც ეხება ლორდ ბაირონის პოეზიასა და ქართულ ლიტერატურასთან მის კავშირებს.

2005 წელს ბრიტანელი აკადემიური და დიპლომატიური წრეების წარდგინებით, ამერიკის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა ქალბატონ ინესას საერთაშორისო ელჩის ორდენი და ტიტული HE — „მისი აღმატებულება“ — მიანიჭა.

აკადემიკოსი ვაჟა ლორთქიფანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს 90-იანი წლებიდან კითხულობს. 2007-2014 წლებში გახლდათ გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, 2010-2014 წლებში — საპატრიარქოს უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. დემოგრაფიის კათედრა ვაჟა ლორთქიფანიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000-2006 წლებში დააარსა. მის სახელს უკავშირდება თსუ-ის დემოგრაფიული კვლევის სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიის დაარსებაც (1999-2000 წწ.). ვაჟა ლორთქიფანიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1991-1995 წწ.). 1972-1973 წლებში კი თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე მუშაობდა. 2003 წლიდან გახლდათ „აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა საერთაშორისო ცენტრის“ (არასამთავრობო ორგანიზაცია) პრეზიდენტი; 2002 წლიდან — აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წამდვილი წევრი. ვაჟა ლორთქიფანიძე 1998 წლიდან საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტიცაა. მან დააარსა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „დემოგრაფია“, რომლის აღდგენაც უახლოეს მომავალში იგეგმება.

ვაჟა ლორთქიფანიძე გახლავთ ბორისოვის სახელმძღვანელო — „დემოგრაფია“ — ქართული თარგმანის (ვრცელი კომენტარებითა და საქართველოს მოსახლეობის შესახებ მონაცემების დამატებით) სამეცნიერო რედაქტორი; ასევე წიგნის — „გამოცდილება ხალხთა მოსახლეობის კანონის შესახებ“ — პირველი ქართული თარგმანის სამეცნიერო რედაქტორი. მისი ავტორობით, 2008 წელს, გამოიცა „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“.

ვაჟა ლორთქიფანიძემ ჩამოაყალიბა საქართველოში დემოგრაფიის სამსახურეო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. დემოგრაფთა კადრების დეფიციტი, რომელიც ქვეყანაში არსებობდა, შესაბამისად, ნელ-ნელა იკვება. სპეციალობა სტუდენტებში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს.



აკადემიკოსი საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი ინიციატორი და მთავარი ავტორიც არის. დოკუმენტი პარლამენტმა 2016 წლის ივნისში მიიღო. კონცეფციის შემუშავების პროცესში უცხოელი ექსპერტებიც მონაწილეობდნენ. შედეგად, შეიქმნა დემოგრაფიული განვითარების ფონდი. ამჟამად, სასწავლო-კვლევითი საქმიანობის პარალელურად, პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე, კონცეფციაზე

უნივერსიტეტიდან



ახლად არჩეული 5 ახალბეისოსი თსუ-დან

8-8 83-დან

დაყრდნობით, საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების ეროვნული უსაფრთხოების პროგრამაზე მუშაობს.



დავით ლორთქიფანიძე საქართველოში, რუსეთში, უზბეკეთში, გერმანიასა და საფრანგეთში არქეოლოგიური გათხრებისა და ინტერდისციპლინარული კვლევების 30 წლიანი გამოცდილება აქვს. იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ მოწყობილ გამოფენებს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. გახლდათ ადამიანის ევოლუციის ამსახველი ექსპოზიციების სამეცნიერო კომიტეტის წევრი მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში. დავით ლორთქიფანიძე არის რამდენიმე საერთაშორისო აკადემიის წევრი, მათ შორის: ევროპის აკადემიის (Academia Europaea), მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპული აკადემიის, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის, გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი და ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური აკადემიის უცხოელი წევრი. მას მიღებული აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენი, გოეთეს მედალი; ჰუმბოლდტის პრემია; საქართველოს პრეზიდენტის ბრწყინვალეობის ორდენი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია პალეობიოლოგიაში; ლინჩის ეროვნული აკადემიის ჯილდო „ფაბიო ფრასეტოს“ საერთაშორისო პრიზი, (იტალია); საფრანგეთის ღირსების ორდენი; როლექსის ჯილდო ინიციატივისთვის; საქართველოს ეროვნული ჯილდო მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში; საფრანგეთის ორდენი „Palme Academique“; საქართველოს ღირსების ორდენი; მონაკოს პრინცის პრემია;

დავით ლორთქიფანიძე 2005 წლიდან დღემდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორია. 2004-2005 წლებში იყო სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი; 2009 წლიდან — საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; მიწვეული პროფესორის სტატუსით ლექციებს კითხულობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში, ფერარას უნივერსიტეტსა და ტარაგონას უნივერსიტეტში; 1997-2002 წწ. გახლდათ სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის განყოფილების გამგე; 2018 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელია. დავით ლორთქიფანიძეს მოპოვებული

აქვს არაერთი სამეცნიერო გრანტი, მათ შორის: 2010-2012 წლებში — ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი „ზედა პლიოცენისა და ქვედა პლეისტოცენის პალეოგარემოს აღდგენა და ადრეული ჰომო კავკასიაში (სამხრეთ საქართველო, დმანისის ნაკრძალი და იორის ხეობა)“; 2010-2012 წლებში შვეიცარიის მეცნიერებათა ნაციონალური ფონდის გრანტი („დმანისის ახალი აღმოჩენების ციფრული დოკუმენტაცია და შედარებითი ანალიზი“); 2010 წლიდან დღემდე არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაქობილების პროექტის მონაწილე, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერას პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდთან თანამშრომლობით; 2006-2018 წლებში მოპოვებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სხვადასხვა გრანტი.

რევაზ გაჩეჩილაძის სამეცნიერო ინტერესების სფეროებია სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის გეოგრაფია, გეოპოლიტიკა და დიპლომატიის ისტორია. როგორც მომხსენებელი ან მოდერატორი, მონაწილეობდა 50-ზე მეტ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, სიმპოზიუმსა და სემინარში. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო ქართულ-ბრიტანული (1993, 1995, 1997 წწ.), ქართულ-რუსული (1995 წ.), ქართულ-პოლონური (1996, 1999 წწ.), ქართულ-ისრაელური (2000, 2002 წწ.) სამეცნიერო-გეოგრაფიული სემინარები და დაიბეჭდა მათი მასალები. 2015 წლიდან ყოველწლიურად ხელმძღვანელობს საერთაშორისო კონფერენციას — „პოლიტიკა კავკასიის გარშემო“ (თსუ). არის 60-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.



პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1968 წლიდან მოღვაწეობს; ასევე, ლექციებს კითხულობდა მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯში (აშშ), გახლდათ მიწვეული პროფესორი (1996 წ.) ოქსფორდის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი). რაც შეეხება სამეცნიერო-საგარანტო პროექტებში მონაწილეობას: მიიღო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი — „საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ხუროთმოძღვრული ძეგლების ინტერაქტიული ისტორიულ-გეოგრაფიული რუკისა და საცნობარო-საილუსტრაციო მონაცემთა ბანკის შექმნა“ (პროექტის ხელმძღვანელი). იყო საზღვარგარეთული გრანტის (Coping with marginality and exclusion: can refugees communities successfully integrate into mainstream urban societies in Geor-




gia) უფროსი მკვლევარი. მას მიღებული აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემია (2002 წ.) მონოგრაფიისათვის: *The New Georgia: Space, Society, Politics* UCL Press, London, 1995; *Texas A&M University Press, Station Vagon, Texas*. ასევე, მინიჭებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მონოგრაფიისათვის — „ახლო აღმოსავლეთი. სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“.

რევაზ გაჩეჩილაძე 2014-2016 წლებში გახლდათ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. 2016 წლიდან დღემდე კი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია სლოვაკეთის რესპუბლიკაში. ფლობს რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, თურქულ, პოლონურ, სლოვაკურ, ესპანურ, გერმანულ, სომხურ და ებრაულ ენებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის **ნოდარ კვეკელიძის** სამეცნიერო ინტერესების სფეროა ნახევარგამტარების და მყარი სხეულების ფიზიკა, ტექნოლოგია, ელექტრონიკა, მასალათმცოდნეობა, რადიაციული ფიზიკა, მაღალტემპერატურული ზეგამტარობა, ფიზიკური მეთოდები ევოლოგიაში. იგი გახლდათ 21 საერთაშორისო და ეროვნული საგარანტო პროექტის ხელმძღვანელი და მონაწილე. 2000 წელს მიიღო ივანე ჯავახიშვილის მედალი. მისი სამეცნიერო პუბლიკაციების საერთო რაოდენობა 300-ზე მეტია, მათ შორისაა 19 გამოგონება და სახელმძღვანელო. ხელმძღვანელობდა მრავალ ათეულ საკურსო, სადიპლომო და სამაგისტრო ნაშრომებს, რისთვისაც დაჯილდოებულია რესპუბლიკური და საკავშირო სიგელით.

ნოდარ კვეკელიძე 2000 წლიდან დღემდე NATO, CRDF, STCU, EU, OSCE, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდების პროექტების ხელმძღვანელია. არის სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერ-



თანამშრომელი. გახლდათ 150-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის, სიმპოზიუმის და სემინარის მონაწილე, მათ შორის ვენის, რომის, პარიზის, ლონდონის, ბერლინის, ლაიპციგის, იენის, შტუტგარდის, ტოკიოს, რედინგის, დუბროვნიკის, იერუსალიმის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ნოვოსიბირსკის, ბაქოს, ერევნის, აშხაბადის, თბილისის, ოსტინის, სტამბულის, ბრიუსელის, ასევე ნახევარგამტარების და მონათესავე მასალების რადიაციული ფიზიკის საერთაშორისო კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ნოდარ კვეკელიძე 19 პატენტს ფლობს. 1961 წლიდან კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტებში ნახევარგამტარების ფიზიკაში, ზოგად ფიზიკასა და მაღალტემპერატურული ზეგამტარების ფიზიკაში. მის მიერ აღზრდილია 22 მეცნიერებათა დოქტორი, მათ შორის, ბოლო წლებში — 6.

Google Scholar-ის მონაცემებით, პროფესორ ნოდარ კვეკელიძის ციტირების ჰინდის ინდექსია (h-index) 9. ამავე მონაცემებით მკაფიოდ ჩანს მეცნიერის განსაკუთრებული აქტიურობა და პროდუქტიულობა ბოლო წლებში: მხოლოდ 2013 წლიდან მისი ჰინდის ინდექსია (h-index) 5. Thomson Reuters-ის Web of Science-ის მონაცემებით, მისი ციტირების ჯამური რიცხვი (Sum of the Times Cited) არის 9715, h-index = 42. ეს სიდიდე, შესაბამის ჰ-ინდექსთან ერთად ასახავს ავტორის შრომების გლობალურ წვლილს/გავლენას შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების განვითარებაზე.



ჩვენი 8 მარტი და უნივერსიტეტის წარმატებული ქალების ასოციაცია

მარტის ბავშვობა

„ძლიერი ქალი“ — დღეს აღარ არის უხერხული ეს სიტყვათა შეთანხმება...

შესაძლოა არც არასდროს ყოფილა ქალის წვლილი დაკნინებული ჩვენს კულტურაში, მაგრამ ცხადია, რომ ახალმა დროებამ ქალის უფლებების დაცვისთვის ბრძოლა აქტიურად გახადა. მსოფლიომ უფრო მეტად გაგვაძვირებინა ყურადღება — სახელმწიფომ იზრუნოს ყველა სფეროში ე.წ. სუსტი სქესის წარმომადგენლების ჩართულობასა და დასაქმებაზე, რათა ქალებმა შეძლონ ამ სამყაროში თვითრეალიზაცია...

8 მარტი სწორედ ის დღესასწაულია, რომელიც ქალთა საკითხებზე მსჯელობის „მადას“ ხსნის... ასეთი საკითხი უამრავია... ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა უნივერსიტეტში დასაქმებული ქალების მოსაზრებები ყველა იმ თემაზე, რა თემასაც აქტიურებს ქალებისადმი მიძღვნილი დღე... მაინც, „რა სურთ ქალებს?“ როგორ ახერხებენ ისინი იყენებენ ამ რთულ ეპოქაში რეალიზებულად, წარმატებულად? რა დამოკიდებულება აქვთ ქალთა დღესასწაულების მიმართ? — ეს ის კითხვებია, რაზეც ჩვენ რესპონდენტები საუბრობენ...

„მნიშვნელოვანად შეიცვალა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა არა მარტო ოჯახში, არამედ საზოგადოებაში“



ნარინა ჯაში, თსუ-ის პროფესორი:

— მოგვხსენებთ, რომ დღეს ჩვენ ცხოვრება გვიწევს აგრესიულ გარემოში, სოციალური უსამართლობის სამყაროში, სადაც აგრესიისა და ძალადობის გამოვლენა მრავალფეროვანი ფორმებით ხდება. გენდერული უთანასწორობა არსებული სოციალური უთანასწორობის გამოვლენის კონკრეტული ფორმაა.

აღსანიშნავია, რომ ქალთა უფლებებზე საუბარი 1997-1998 წლებში საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა, როდესაც გაეროს განვითარების პროგრამის მნიშვნელოვანი პროექტის — ქალები განვითარების პროცესში“ განხორციელდა დაიწყო. ამ პროექტის მთავარ მიზანს საზოგადოებისთვის არა მარტო ქალთა უფლებების გაცნობა, არამედ გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის წარმოჩენა წარმოადგენდა.

ჩემი აზრით, საზოგადოება ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე დაფუძნებული. დღეს საქართველოში, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, უამრავი პროგრამა ხორციელდება, შეიქმნა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ქვეყანაში სამართლიანობისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას ემსახურება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალთა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა დღითი დღე აქტიურდება და პოზიტიური ტენდენციებიც სახეობს: მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა არა მარტო ოჯახში, არამედ საზოგადოებაში. ქალი გახდა უფრო აქტიური, ეკონომიკურად ძლიერი მოთამაშე და, რაც მთავარია, შეცვლილია საზოგადოების დამოკიდებულებაც ამ პრობლემის მიმართ.

ზოგადად, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. მიუხედავად იმ პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმებისა, რაც საქართველოში გამოიარა, დემოკრატიული განვითარების პროცესი არ შეჩერებულა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალის სტატუსი და იმიჯი საზოგადოებაში. მახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენ გვყავს წარ-

მატებული ქალები. სასიამოვნოა ისიც, რომ უამრავი ახალგაზრდა მიდის საზღვარგარეთ განათლების მისაღებად და ამ კუთხით გენდერული პარიტეტი დაცულია, თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, რითაც საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის განვითარებულ ქვეყნებს.

მეამაყება, რომ დღესაც უნივერსიტეტში ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები და ეს ამალეებს ჩემს განწყობას. სასიხარულოა, რომ ჩემს გვერდით ბევრი ღირსეული, თავისი საქმის პროფესიონალი ქალბატონია, რომლებიც განათლების სისტემის გარდაქმნის პროცესებში აქტიურად არიან ჩართულნი.

რაც შეეხება გაზაფხულის დღესასწაულებს, ვფიქრობ — არ არის საჭირო დიდი თაიგული... შეიძლება მცირედმაც გაგახაროს... მაგრამ ჩვენ გვიჩრდება თანადგომა, ერთმანეთის პატივისცემა, თუნდაც პატარა წარმატების აღიარება, სხვისი პრობლემის გაზიარება. უნივერსიტეტის თანამშრომლებს ვუსურვებ, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი...

„დროა, დავიწყოთ „ქველი შარვლის კამპანია“ და საკუთარი უფლებების დასაცავად უფრო აქტიურად გავხდეთ“

ნინო ოპრიპალავილი, თსუ-ის პროფესორი:

— რთულია, ზოგადად, ისაუბრო ქალის როლზე დღევანდელ, წინააღმდეგობრივ სამყაროში და კონკრეტულად — საქართველოში, სადაც, ერთი მხრივ, ქალი გაფეხიშებულია, იდეალიზებულია და, მეორე მხრივ, თავდასხმის ობიექტადაც ადვილად იქცევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დეკლარირებული თანასწორობისა და აღიარების ფონზე მაინც თვალსაჩინოა, რომ ქალთა სამოქმედო ასპარეზი შეზღუდულია: იგი ნაკლებადაა ჩართული პოლიტიკასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, პროფესიულ ასპარეზზე კი კარიერულ წინსვლაში გარკვეული ბარიერებიც არის შესამჩნევი.

მახსოვს, დაახლოებით 10 წლის წინ, ერთ უნივერსიტეტთან ინტერვიუში ვთქვი: „საქართველოში ქალი გაიკრებოდა წმინდა ნინოსთან, ოჯახისა და სარწმუნოების მცველთან. ცნობილმა ფსიქოლოგმა ადლერმა შემოიტანა ცნება მამაკაცური პროტექტი“, რომელიც გულისხმობს ქალურ, ანუ პასიურ როლიდან აქტიურ, მამაკაცურ როლში გადასვლას“. დიხ, რეალობა გვიჩვენებს, რომ 1990-იანი წლების ეკონომიკური წარუმატებლობის, სწორედ ბიოლოგიურად დეტერმინირებულმა ოჯახის გადარჩენის ინსტიქტმა, ქართველი ქალი, რიგ შემთხვევებში — მამაკაცებზე უფრო ადრეც, ჩააყენა მცირე, კერძო ბიზნესის სათავეებთან. მათ არც მომსახურების სფეროში დასაქმება იუკადრისეს და უცხო ქვეყანაშიც გაიხიზნნენ, რათა საკუთარი ოჯახები კოლაფსისგან ეხსნათ.



ზოგადად, ძალიან მიყვარს გაზაფხული, რაც ბუნების გამოღვიძლებასთან, ფეროვან ლამაზ პალეტასთან, ახალი სიცოცხლის, ახალი ცხოვრებისეული ეტაპის დაწყებასთანაა ასოცირებული. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოში მარტს, ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე, უფრო მეტი შინაარსობრივი დატვირთვა უნდა მიეცეთ და მხოლოდ ყვავილების რიტუალურ მირთმევასა და მალაღმარდოვან სადღერძელოებში არ უნდა ჩაეკარგოთ მისი რეალური არსი. დიხ, მეონი, დროა, დავივიწყოთ „ქველი შარვლის კამპანია“ და საკუთარი უფლებების დასაცავად უფრო აქტიურად გავხდეთ: გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები, გამოვიდეთ პოლიტიკურ და სოციალურ ასპარეზზე, ხმა ავიმალლოთ შრომის ბა-

ზარსა და ანაზღაურებაში არსებული დისკრიმინაციის, აგრესიის, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ. მეტი სოლიდარობა თვითშეფასების ამაღლების მისაღწევად და გაერთიანება ქალთა უფლებების დაცვისთვის!

„გარდაავალი პერიოდის ქალები“



სათუნა მინასვილი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი:

— სათაური ისეთი გამომივიდა, როგორც სამაგისტრო პროგრამის დასახელება, თუ მთელი პროგრამისა არა... ინგლისურად ერთ-ერთი კურსის სახელიც კი ჩამემსის ყურში — „Women in Transition“. თუმცა მისი შეცვლა არ შემიძლია და არ შეიძლება. ეს ქალების ერთი თაობის ამბავია, რომლებმაც ისეთი თვისებები, სიცოცხლისუნარიანობა, მებრძოლი ხასიათი და პროფესიონალიზმი გამოავლინეს, როგორსაც ვერც კი იქვედნენ საკუთარ თავში.

18 წლისა ვიყავი, II კურსის სტუდენტი, როცა ლექტორმა, უნივერსიტეტის ალბათ ერთ-ერთმა საუკეთესო მასწავლებელმა თეიმურაზ სტეპანოვიჩმა ჩემი ნაწერი დამიბრუნა და მითხრა: — ცუდი არ არის, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ რისკავთ — გახდეთ ერთ-ერთი იშვიათი, თითქმის გამონაკლისი უნივერსიტი ქალი, რომელიც ფეხბურთზე წერს... რაღაცამ შემაცებუნა. შეფასებამ არა. თეიმურაზ მამალაძის — ცუდი არ არის“ — ნიშნავდა იმას, რომ სხვები იტყოდნენ „ძალიან კარგია“... მაგრამ ყური რაღაც სხვამ მომჭრა — ეს იყო პროფესიული გენდერის პირველი გაკვეთილი, გაფრთხილება იმის შესახებ, რომ არსებობდა ქალური და კაცური საქმიანობის განსხვავება ანუ არსებობდა ქალური და კაცური თემები, რომელთა საზღვრებსაც თუ დაარღვევდი — ესე იგი, გარისკავდი.

მოგვიანებით მივხვდი, რას ნიშნავდა ეს რისკი — როცა მუშაობდა დავიწყე. პრაქტიკაში ვნახე ქალობა-კაცობის მიხედვით ორგანიზებული შინაარსი. ჩვეულებრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთში ქალები კულტურაზე, განათლებაზე წერდნენ, კაცები — პოლიტიკაზე, დანაშაულზე და სხვა დანარჩენზე; სპორტულ გაზეთშიც კი ქალებს თავიანთი არე ჰქონდათ შემოფარგლული — სპორტის ის სახეობები, რომლებშიც ქალები ასპარეზობდნენ. კაცები კი წერდნენ ყველაფერზე. ამ დადგენილი წესრიგით, ქალი ესთეტი იყო, მფრთხალი და ემოციური, კაცი — პრაგმატული და ჭკვიანი, ფსიქოლოგიურად მეტად გამძლე და პასუხისმგებლობის მეტი გრძობით... კაცი მუდამ უკეთ აფასებდა და წონიდა და საფრთხეს. კაცურ თემაში“ შესული ქალი კრიტიკისთვის იყო განწირული — დიდი, ასტროფიზიკური ობსერვატორიის დინამის ქვეშ ათავსებდნენ კოლეგებიც კი მის ნაწერს და უმცირესი დეტალებიც კი ექსპერტიზას ექვემდებარებოდა, სხვათა შორის, ყველა მსურველის მხრიდან.

არ ვიცი, შევძლებდი თუ არა, დიდხანს გამეძლო ამ წესრიგისთვის. საბედნიეროდ, ბედმა ამგვარი გამოცდისთვის არ გამწირა. გამძლეობაზე — ამ კუთხით — არ შემიძლია. 80-იანების ბოლოს პოლიტიკამ დიდი ცვლილებები მოიტანა უნივერსიტეტში — რაღაც პირობითი თავისუფლება, რომელსაც საზღვრები თან ჰქონდა და თან არ ჰქონდა. თვითონ უნივერსიტეტზე იყო დამოკიდებული, თავისუფლების რა ჩარჩოებს დაუწესებდა საკუთარ თავს. და მაშინ ვნახე, როგორ ძალიან სწრაფად დაიწყო რღვევა ამ დადგენილმა, თითქოს ძალიან სტაბილურმა კაცურ-ქალურმა წესრიგმა. კაცებმა თავისუფლებისგან მომდინარე საფრთხის აწონვა დაიწყეს, ქალებმა — თავისუფლებით ტყობა და სარგებლობა. კაცები დროს ჰკარგავდნენ, ქალები კი დროს

იგებდნენ. იდეოლოგიური კონფორმიზმის ზღუდეს ქალებმა თამამად გადააბიჯეს და ბევრად უკან მოიტოვეს „ძლიერი კოლეგები“... გაზეთების პირველ გვერდებს, სადაც კაცებისთვის დადგენილი პოლიტიკური და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა ყოფილიყო განთავსებული, ცარიელად დარჩენის საფრთხე ემუქრებოდა, რადგან კაცები ამ დროს, როგორც უკვე გითხარით, ზომავდნენ და წონიდნენ რაღაცას... და სწორედ ამ დროს, ამ დაბნეულობით გაბერილ ვაკუუმში, იშვა ახალი, თავისუფალი, საოცარი ნიჭიერებით დაწერილი მედია შინაარსი: პირველი რეპორტაჟები ქალებმა გადმოსცეს ქალთა კოლონიებიდან, ბავშვთა სახლებიდან, ფსიქონევროლოგიური დისპანსერებიდან; პირველ რეპორტაჟებში აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან განგაშის პირველი სიგნალები სწორედ ქალმა უნივერსიტეტმა გააუქმეს; პირველი რეპორტაჟები ფრონტის ხაზიდან ქალი უნივერსიტეტის სახელთან ასოცირდება; ქართული საგამომიებო უნივერსიტეტის ქალ უნივერსიტეტს უნდა უმაღლესად დაბადავას. მაშინ ისინი სულ რაღაც ოცდახუთიოდ წლის გოგონები იყვნენ...

პარადოქსივით მახსენდება: თვითონ ორიოდ კვირის წინ აღმოდებული სოხუმიდან უნივერსიტეტში დასული და რედაქციაში დაბრუნებული მაია გოგოლაძე და ლია ტოკლიკიშვილი ხშირ-ხშირად მიდიოდნენ ფანჯარასთან და ჩელუსკინელების ხიდს აპყურებდნენ ხვამლის ქუჩიდან... მეც მათთან ერთად ვდგებოდი და სამივენი ქუჩას გავყურებდით, თითქოს საკენ-ჭუბურის გზა აქედან გამოჩნდებოდა. საკენ-ჭუბურის გზით კი ამ დროს ჩვენი გაზეთის სამხედრო კორესპონდენტი ირაკლი ალადაშვილი მოდიოდა...

„განათლების სფეროში გვირგვინი წარმატებული ქალი“



ნინო ჩიქოვანი, თსუ-ის პროფესორი:

— საზოგადოების განვითარებაში ქალის როლი, ჩემი აზრით, ყოველთვის, ყველა ეპოქაში მნიშვნელოვანი გახლდათ, თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად იყო შეფასებული, გააზრებული და დაფასებული მისი საქმიანობა. მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, რომ ჩვენს დროში სულ უფრო მეტად ხდება ის ფაქტი, რომ ქალის როლი გაიზარდა და ტრადიციულად შენარჩუნებული ფუნქციები გარდა იგი დღითი-დღე უფრო მეტად აქტიურად გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე.

სასიამოვნო ფაქტია, რომ დღეს ქალები, პრაქტიკულად, ყველა მიმართულეობით აქტიურად მოღვაწეობენ — იქნება ეს განათლების, მეცნიერების, პოლიტიკის, ეკონომიკის სფეროები. მათი უმეტესობა მამაკაცებზე არანაკლებ კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობებს. ამის მაგალითია ისიც, რომ დღეს ქალები განათლების სფეროში დიდ წილს შეადგენენ, განსაკუთრებით სკოლებსა და საუნივერსიტეტო სივრცეში. ვისურვებდი, რომ კაცებიც იყვნენ ამ სფეროში ასეთივე თანაფარდობით წარმოდგენილები.

დღეს ქალთა უფლებების დაცვაზე გაუთავებელი მსჯელობაა. ჩემი აზრით, ადამიანის უფლებების დაცვა შევიწროებისა და ძალადობისაგან ყველას ეხება, თუმცა, ეს თითქოს უფრო მეტად განასხვავებს ერთმანეთისაგან გენდერულად საზოგადოების წევრებს და ხაზს უსვამს იმას, რომ ქალი დაუცველია და განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება. ჩემი აზრით, დღეს ამ უფლებების დაცვას ქალი თავადვე ახერხებს. რა თქმა უნდა, ვინც ვერ ახერხებს, მას დახმარება სჭირდება, ამ შემთხვევაში სქესის მნიშვნელობა არა აქვს.

განსაკუთრებული ნიშნებით დღესასწაულების გამორჩევის მოტრფიალე არ ვარ, მაგრამ კარგია, რომ არსებობს „დედის დღე“ და „ქალთა დღე“, როდესაც საშუალება გვაქვს — ერთმანეთს მივულოცოთ და პატივისცემა გამოვხატოთ.

შედეგები უკვე სახეა

რით არის მიზნობრივი ინოვაციური-პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრი

თამარ ლალიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქტიურად თანამშრომლობს ინოვაციური-პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრი (IPEC), რომლის დამფუძნებელია თსუ-ის პროფესორი ვასილ გონაშვილი.

გასული წლის 14 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ინოვაციური-პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრს (IPEC) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები განახორციელებენ ერთობლივ აკადემიურ პროექტებსა და ღონისძიებებს. თანამშრომლობის ეტაპები მოიცავს (IPEC)-ის მხარდაჭერას უნივერსიტეტის სტუდენტების სასწავლო-პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებაში. ამასთან, უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ექნება სტაჟირება გაიაროს ცენტრში და ისარგებლონ შედეგებით (IPEC)-ის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. ინოვაციური-პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრის (IPEC) მიზანია ახალგაზრდების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა. ცენტრი უზრუნველყოფს, ევროპაში აპრობირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით, ახალგაზრდების მომზადებას სხვადასხვა პროფესიულ საკითხებში დისკუსიების, სემინარების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების სახით. მართალია, ცენტრმა საქმიანობა სულ ახლახანს დაიწყო, მაგრამ შედეგები უკვე სახეა. მის ანგარიშზე რამდენიმე წარმატებით განხორციელებული აკადემიური პროექტი და ტრენინგია, რომლებმაც სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია. IPEC მისიასა და საქმიანობაზე გვესაუბრება ცენტრის დამფუძნებელი, თსუ-ის პროფესორი ვასილ გონაშვილი.

— გვიამბეთ ცენტრის მისიასა და აქტივობებზე...

— ინოვაციური-პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრის დაარსების იდეა სტუდენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე გაჩნდა. საერთოდ, სასწავლო პროცესის დროს ძირითადი აქცენტი ყოველთვის კეთდება იმაზე, რომ სტუდენტებმა თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ. თუმცა, არის ისეთი საკითხები, რომელსაც სასწავლო საგანში ვერ ჩავსვამთ, მაგრამ შეგვიძლია ერთი ან ორდღიანი სასწავლო პრაქტიკის ფორმით მივანოვოთ სტუდენტებს. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ დაგვეარსებინა ცენტრი, რომელიც რამ-

დენიმე დღიან ტრენინგების ჩატარებას და საშუალებას მისცემს სტუდენტებს — გარკვეულ საკითხებზე პრაქტიკული ცოდნა მიიღონ.

ინოვაციური-პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრი იყენებს ევროპაში აპრობირებული სწავლების მეთოდებს და უპირატესობას პრაქტიკასა და განზოგადებას ანიჭებს.

ცენტრის ძირითადი მიზანია სტუდენტებამდე მიიტანოს საქართველოში სხვადასხვა სფეროში არსებული პრაქტიკული გამოცდილება.

ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი — „როგორ მიმდინარეობს ევროპულ სამართალთან დაახლოების პროცესი საქართველოში“, სადაც განიხილეს ევროპულ სამართალთან დაახლოების პროცესის მიმდინარეობა მართლმსაჯულების რეფორმების, ადამიანის უფლებების დაცვის, სოფლის მეურნეობის განვითარების, გარემოს დაცვის სფეროებში. ტრენინგს უძღვეოდნენ იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი ქეთევან სარაჯიშვილი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი ლაშა ინაური.

შემდეგი ტრენინგის თემად კანონ-შემოქმედება ავირჩიეთ. მართალია, მას სტუდენტები ზოგადად სწავლობენ, მაგრამ კანონის წერის კულტურა არ აქვთ. ამ საკითხზე 2 დღიანი ინტენსიური ტრენინგი — „როგორ დავეწროთ კანონპროექტი“ ჩავატარეთ და ახალგაზრდებს კანონპროექტების წერის სპეციფიკა გააცანით. ტრენინგზე განვიხილეთ შემდეგი საკითხები: კანონპროექტის აგებულება, რეკვიზიტები, კანონპროექტის ენა, კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები და სხვა. სტუდენტებმა ტრენინგის მიითქმით თვითონ დაწერეს ორ სხვადასხვა კანონში შესატანი ცვლილებები და შემდეგ ერთად განიხილეს. ტრენინგი კარგი პრაქტიკა იყო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, იური-სტებისთვის და სამართალშემოქმედების პროცესით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

16 იანვარს ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი — „როგორ იწერებოდა საქართველოში კონსტიტუციები“. მსმენელებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საკონსტიტუციო კომისიების ფარგლებში პროექტების მომზადების, შეჯერების, საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ. ტრენინგს უძღვეოდა პროფესორი, ემერიტუსი ავთანდილ დემეტრაშვილი. იგი თავად იყო 5 საკონსტიტუციო კომისიის წევრი და სტუდენტებს მიანიშნებდა სხვადასხვა საკითხზე დეტალური ინფორმაცია.

სულ ახლახანს, 26 იანვარს, ჩავატარეთ საინტერესო ტრენინგი თემაზე: „ფარული მიყურადების სტანდარტები“. მსმენელებმა მიიღეს ინფორმაცია ოპერატიულ-ტე-



ვასილ გონაშვილი

ქნიკური სააგენტოს ფუნქციების, ამ სფეროში ჩატარებული რეფორმების, სხვა ქვეყნების გამოცდილების, სასამართლო პრაქტიკის, ფარული მიყურადების საკანონმდებლო პროცედურისა და პრაქტიკის შესახებ. ტრენინგს უძღვეოდა სუსის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამართლებლო უფროსი დავით გაბუხაძე. ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს სრული ინფორმაცია ფარული მიყურადების საერთაშორისო სტანდარტებისა და პროცედურის შესახებ.

— ინოვაციური პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრი (IPEC) გათვლილია მხოლოდ თსუ-ის სტუდენტებისთვის თუ სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსაც აქვთ შესაძლებლობა — მონაწილეობა მიიღონ ცენტრის აქტივობებში?

— პირველ რიგში, ჩვენ დავიწყეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან: თსუ-სთან, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტთან, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან, კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციასთან, რომელიც რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს აერთიანებს. ტრენინგის საფასური ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის, პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის კი იგი კიდევ ნახევრდება. ამ თანხით ჩვენ ორგანიზაციულ საკითხებს ვაგვარებთ. სტუდენტებს სახელობით ავტოკალმებს, ბუკლებებს, სერტიფიკატებს გადავცემთ.

— საინტერესოა, სტუდენტებიდან თუ მოდის ინიციატივა ან დაკვეთა ამა თუ იმ საკითხზე ტრენინგის ჩატარებასთან დაკავშირებით?

— ცენტრის საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობა დიდია. მაგალითად, სტუდენტების ნახალისების მიზნით, ცენტრის დირექტორებმა სტუდენტები დავინიშნეთ. მათ აქტიური კოორდინაცია

აქვთ სტუდენტებთან და მათ წინადადებებს და მოსაზრებებს ვითვალისწინებთ. აგრეთვე შევქმენით სტუდენტური ჯგუფები, რომლებიც ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში გვეხმარებიან.

— რამდენად დიდია სტუდენტების დაინტერესება ტრენინგებით?

— ყველგან დიდი ინტერესი დავინახეთ. იმედი გვაქვს, რომ ტრენინგები ახალგაზრდების კიდევ უფრო დიდ ნაწილს მოიზიდავს. ჩვენ ვმუშაობთ ამ მიმართულებით. ტრენინგების გარდა გვაქვს მეორე მიმართულებაც — ე.წ. სტუდენტთა საკანონმდებლო ჯგუფი. ამ აქტივობას კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციასთან ერთად განვახორციელებთ. პროექტში მონაწილეები უკვე შევარჩიეთ. ჯგუფი შეისწავლის სხვადასხვა ქვეყნის განვითარების კონცეფციებს, გააანალიზებს კანონთა აღსრულების პრაქტიკას და საკანონმდებლო თუ სხვა ნორმატიულ აქტებში ცვლილებებს წარუდგენს შესაბამის უწყებებს. ჯგუფი ყოველწლიურად განახლდება.

აღსანიშნავია ჩვენი ცენტრისა და თსუ-ის ერთობლივი პროექტი, სადაც მონაწილეობა სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. ჩვენ ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ. სკოლის მოსწავლეებს ჩავუტარეთ 4-დღიანი ინტენსიური კურსი — „ვისწავლოთ ჩვენი უფლებები როლური თამაშებით“. მასში მონაწილეობდა 150 დამამთავრებელი კლასების მოსწავლე თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

მოსწავლეებს იმიტირებული სასამართლო პროცესები, კაზუსური და როლური თამაშების სახით ტრენინგები ჩავუტარეს მოსამართლეებმა: ბადრი კოჭლამაშვილი, ლევან დარბაიძე და ლილა კობრეიძე, პროკურორმა მარიამ გოგორელიანმა, თსუ-ის პროფესორებმა ნანა ჭილაძემ და მე და, ასევე, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილემ ზურაბ მაჭარაძემ. ტრენინგის დასრულებისას მონაწილეებს ორენოვანი სერტიფიკატები გადავცათ.

— თქვენი საქმიანობის არეალის გაფართოებას თუ აპირებთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში?

— წინასწარ არ მინდა მოვლენებს გავუსწრო. ცენტრი მოლაპარაკებებს აწარმოებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მთელი საქართველოს მასშტაბით გავავრცელოთ საქმიანობა, რაც გარკვეული ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს. რეგიონებში გასვლა გარკვეულ ფინანსებთან არის დაკავშირებული და იმედი მაქვს, ამ ორგანიზაციების დახმარებით, ეს პრობლემა მოგვარდება. ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტთან“. თსუ-თან მემორანდუმის ფარგლებში, ჩვენ ბევრ საინტერესო აკადემიურ პროექტსა და ღონისძიებას განვახორციელებთ, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს სასწავლო-პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებაში.



სახელმწიფო ენის პროგრამის პროექტის განხილვა თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო ენის პროგრამის პროექტის განხილვა დაიწყო. სახელმწიფო ენის პროექტი ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას, ნორმალიზაციასა და სტანდარტიზაციას, ასევე ქართულ ენასთან ერთად აფხაზური ენის, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენების დაცვას გულისხმობს. პროექტის განხილვას, რომელიც სახელმწიფო ენის დეპარტამენტში შემუშავდა, თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ალიბეგაშვილი, დეპარტამენტის წარმომადგენლები, პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ალიბეგაშვილის ინფორმაციით, პროექტი სახელმწიფო ენის განმტკიცებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. „ეს პროექტი იქნება სახელმწიფო ენის, ქართული

ენის, კონსტიტუციური წესრიგის დოკუმენტი. დოკუმენტში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ყველა ის მოთხოვნა, რომელიც სახელმწიფო ენის გაძლიერებას შეუწყობს ხელს“, — განაცხადა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

თსუ-ის პროფესორის, ენათმეცნიერ თინათინ ბოლქვაძის თქმით, საქართველო ყოველთვის მრავალენოვანი ქვეყანა იყო და აღნიშნული პროექტი მის ისტორიულ და დღევანდელ მრავალენოვნებას ასახავს. „სახელმწიფო ენის ახალი ნორმები 1970 წლის შემდეგ არ გამოცემულა. დიდი ხანია ქართული მეტყველება იმ ნორმებისგან განსხვავდება, რომლითაც ქართველები თუნდაც 30 წლის წინ მეტყველებდნენ. ეს პროექტი ქართული ენის შენარჩუნებას, კვლევას, საქართველოში გავრცელებული ენების ხელშეწყობას ითვალისწინებს. თუ ეს პროექტი განხორციელდება, მაშინ ქართული ენა და ყველა ენა, რომელიც საქართველოშია

გავრცელებული, დაცული იქნება“, — აღნიშნა პროფესორმა.

სახელმწიფო ენის პროგრამამ ქართული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უნდა უზრუნველყოს; გაზარდოს მისი, როგორც საქართველოს მოსახლეობის გამაერთიანებლის როლი, უზრუნველყოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართულის, ხოლო

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართულთან ერთად აფხაზურის დაცვა, განვითარება, ტექნოლოგიური მხარდაჭერა და ფუნდამენტური კვლევა. ამასთან, უნდა შექმნას ყველა პირობა ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად და ხელი შეუწყოს საქართველოს ენობრივ უმცირესობებს საკუთარი ენის შესწავლასა და განვითარებაში.



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაქულტეტი

ქონფერენციები გამარჯვებული პროექტები და „ყვალაზა აქტიური“



15 თებერვალს თსუ-ის საექტო დარბაზში გაიმართა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის VII სამეცნიერო კონფერენციის პლენარული სესია, რომლის ფარგლებშიც კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ. წელს კონფერენციაზე ფაკულტეტის 8 მიმართულებიდან 60-ზე მეტი ნაშრომი იყო წარდგენილი. დაჯილდოვდნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტები.

საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ფინალური ეტაპი გამარჯვებულ სტუდენტებს ეთმობა. ამ დღეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა მიმართულება ერთ სივრცეში იყრის თავს.

„ჩვენ დღეს გვაქვს 8 გამარჯვებული ნაშრომი, რომლებსაც დამსწრე საზოგადოებას ავტორები წარუდგენენ. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო და სიგელები. შემოძლია ვთქვა, რომ დღევანდელი გამარჯვებულები ყველაზე აქტიური სტუდენტები არიან. ვფიქრობ, რომ მათი გამოყოფა სხვებისგან ჩვენი ვალია. ისინი წარმატებულები არიან და უფრო მეტს იმსახურებენ“, — აღნიშნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ხომერიკმა.

ლონისძიებს ესწრებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, რომელმაც გამარჯვებული სტუდენტები თავად დააჯილდოვა და აქტიური მონაწილეობისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა: „ეს ყველაფერი ხდება, რათა წავახალისოთ ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები. მგონია, ესაა მთავარი, რაც სასწავლო დაწესებულებამ უნდა გააკეთოს. ხშირად ვამბობ, რომ ნებისმიერ ქვეყანაში მეცნიერების პოპულარიზაცია ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია. დღევანდელ კონფერენციას ეს ფუნქცია აქვს, რომელიც დიდი შრომის შედეგია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ.

წელს ნაშრომები 8 სამეცნიერო დარგიდან იყო წარმოდგენილი: მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ფიზიკა, ელექტრონიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია და გეოლოგია. საფაკულტეტო კონფერენციაში სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას. კონფერენცია ასევე მნიშვნელოვანია იმით, რომ აკადემიური პერსონალი განვილი წლის მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევების შესახებ მოხსენებებს აკეთებს. დოქტორანტიები კი სასწავლო-კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული კრედიტების მოსაპოვებლად გამოდიან მოხსენებებით. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თქმით, ნაშრომები იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესოა, რომ ხშირად გამარჯვებულის გამოვლენა საკმაოდ რთულია: „მონაწილეებს აფასებს სპეციალური ჟიური, რომლის წევრები, ძირითადად, შესაბამისი მიმართულების პროფესორები არიან. არსებობს საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე ფაკულტეტის დეკანი გახლავთ. უნდა ითქვას, რომ ფაკულტეტის დეპარტამენტები, სრული შემადგენლობით, აქტიურად არიან ჩართული კონფერენციის მომზადებაში“, — ამბობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში ვაჟა აზარაშვილი.

დაჯილდოებისა და პრეზენტაციის შემდეგ გამარჯვებული ნაშრომები ავტორები სამუშაო პროცესისა და მიღებული გამოცდილების შესახებ აღფრთოვანებით ყვებიან. მათი თქმით, სასწავლო პროცესის ასეთი ფორმატი ძალიან საინტერესოა.

მათემატიკის დეპარტამენტი

მათემატიკის დეპარტამენტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტმა დავით ადამაძემ თავის კვლევის შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც გეომეტრიულ სტრუქტურას ანალიზის სხვადასხვა მიმართულება ფუნდამენტურად იყენებს: „დღეს წარმოვადგინე კვლევა სათაურით „ლიონს-პეტრეს საინტერპოლაციო ფუნქტორი და ბანახის სივრცეთა გეომეტრია“. მყავს ორი ხელმძღვანელი: თსუ-ის პროფესორი თენგიზ კობალიანი და ჩუხუბიძე მოლვანე პროფესორი ამირან გოგატიშვილი. თემა არის ფუნქციონალური ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილი — ბანახის სივრცეთა გეომეტრია და ინტერპოლაციათა თეორია, რომელიც ბევრ სხვადასხვა კლასიკურ ასპექტს მოიცავს. ჩვენი მიზანია ბანახის სივრცეთა გეომეტრიის კვლევა საინტერპოლაციო მეთოდებით“, — გვითხრა მან.

ქიმიის დეპარტამენტი

როგორც კონფერენციის ერთ-ერთი გამარჯვებული გიორგი კობაიძე გვიყვება, ქიმიის მიმართულებაზე დიდი კონკურენცია არ იყო, რადგან ბაკალავრებიდან მხოლოდ მან წარადგინა ნაშრომი, ხოლო მაგისტრანტიებიდან 2-მა სტუდენტმა. თუმცა, გამარჯვება მაინც გაუკვირდა, რადგან, მისი თქმით, მაგისტრატურის სტუდენტებს საკმაოდ აქტუალური და საინტერესო ნაშრომები ჰქონდათ: „ჩემი ნაშრომი გახლავთ „ენანტიომერული ნარევიების დაყოფის ტემპერატურული დამოკიდებულება დაფენილ და კოვალენტურად იმობილიზებულ პოლისაქარიდის ბაზაზე მომზადებულ ქირალურ სტაციონარულ ფაზებზე მაღალეფექტურ სითხურ ქრომოტოგრაფიაში“. დღეს ეს ძალიან აქტუალური თემაა. პრეპარატები ენანტიომერული ნარევიების სახით იყიდება: ერთ-ერთი ანტიომერი არის მომხმარებელი, ხოლო მეორე მიზნობრივ-ფორმაციო-გიური თვისებებით ხასიათდება. ამიტომ, ჩვენი მიზანია, მათი ერთმანეთისგან დაცილება. ანუ, ნამალს მოვაცილოთ უკუჩვენებები და მხოლოდ დადებითი ჩვენებები დავტოვოთ. პირადად მე თერმოდინამიურ დახასიათებას ვაკვირდებოდი. ისეთი ხერხები უნდა შეგერჩია, რომ სუფთა სახით მიმეღო და მინარევი არ ყოფილიყო. ჩემთვის ეს დიდი სტიმული და გამოცდილებაა: უფრო მიზანდასახული გავხდი და მეტ დავუთმობ მეცნიერებას. მყავდა თანაავტორებიც: ალუდა ჭელიძე და გიზო დოლიძე. ჩვენი ხელმძღვანელი პროფესორი ბეჟან ჭანკვეტაძე გახლავთ“, — ამბობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის IV კურსის სტუდენტი, გიორგი კობაიძე.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ კვლევაზე სამეცნიერო სტატია უკვე მზადაა უცხოეთში, სამეცნიერო ჟურნალ „Journal of Chromatography“-ში დასაბეჭდად.

გეოგრაფიის დეპარტამენტი

II კურსის სტუდენტმა ნიკოლოზ კაპანაძემ, რომლისთვისაც პირველი გამარჯვება განსაკუთრებით მოულოდნელი და სასიხარულო აღმოჩნდა, მსმენელს ჩაის გავრცელებისა და მოხმარების გეოგრაფიული თავისებურებები წარუდგინა, ჩვენ კი გაგვიზიარა, რომ კონკურენცია საკმაოდ დიდი იყო და გამარჯვებას არ ელოდა. იგი დარწმუნებულია, რომ მისი გამარჯვება თემის აქტუალობამ და მასშტაბურობამ განაპირობა: „წარვადგინე

მოხსენება „ჩაის გეოგრაფია“. ჩემი ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი. კვლევაში და მოხსენებაში ძირითადი აქცენტი მსოფლიოში ქართული ჩაის ადგილსა და პერსპექტივაზე გამახვილდა. კვლევის შედეგად გაკეთდა პროგნოზი, რომლის მიხედვითაც ქართულ ჩაის ძალიან დიდი მომავალი აქვს იმ შემთხვევაში, თუ ორგანულ ჩაის ვანარმოებთ — ბიოპროდუქტს, რაც მაღალი ხარისხისა და შემოსავლის პირდაპირპროპორციულია. ქვეყნისთვის პერსპექტივა ევროპის ბაზარი და შორეული აღმოსავლეთი უნდა იყოს: იაპონია, სამხრეთ კორეა და ჩინეთი. მართალია, ეს ჩაი არ იქნება დიდი რაოდენობის, თუმცა იქნება ძალიან მაღალი ხარისხის და, რაც მთავარია, გარემოს ეკოლოგიურ ზიანს არ მიყავს — ვანარმოებთ ყოველგვარ სასუქებისა და დანამატების გარეშე“, — გვიყვება გეოგრაფიის დეპარტამენტის კურსის სტუდენტი ნიკოლოზ კაპანაძე.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

კონფერენციაზე გაირკვა, რომ სტუდენტებმა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებაზე არ დაივიწყეს და ხელოვნურ ინტელექტზე დაიწყეს ფიქრი. „ჩემ მიერ წარდგენილი თემა არის „შეილა-ავტონომიური მანქანა“ (Self-driving car), რომელიც ადამიანის კონტროლისა და მონაწილეობის გარეშე დადის. მისი ამოცანაა, ადამიანის ჩარევის გარეშე ერთი ნერტილიდან მეორეზე გადაადგილდეს. ყველაფერი გუნდის წევრებმა (მიხეილ ლომიძე, მათე ბერსენაძე და ალექსანდრე სარჩიელიძე) გადავინაწილეთ და ჩვენი ხელმძღვანელის, ასისტენტ პროფესორ პაპუნა ქარჩავას დახმარებით გამარჯვებამდე მოვედით. დღეს ხელოვნური ინტელექტი ძალიან აქტუალური და საინტერესო თემაა, რადგან ჯერ ბოლომდე არ არის შესწავლილი. ჩვენი მიმართულება, ზოგადად, ინოვაციურია და ძალიან ბევრი ახალი და საინტერესო პროექტი იყო, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ბევრი იმსახურებდა გამარჯვებას“, — გვითხრა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის IV კურსის სტუდენტმა ზაალ ძინძიბაძემ.

ფიზიკის დეპარტამენტი

ფიზიკის დეპარტამენტის III კურსის სტუდენტი თინათინ ცისკარიძე კვლევის შესახებ განსაკუთრებული ენთუზიაზმით გვიყვება და ცდილობს, ფიზიკის რთული ენა ჩვენთვის გასაგებად „თარგმნოს“. „ჩვენი კვლევა — „უჩვეულოდ დიდი გამტარობა Ga2O3-ის თხელ ფენაში“ (ხელმძღვანელი — ასოციირებული პროფესორი თამარ ჭელიძე) — ჩატარებულია გალიუმის ოქსიდის (Ga2O3) თხელ ფენაში უჩვეულოდ დიდი გამტარუნარიანობის ახსნის მიზნით. ჩემმა თანაავტორმა ევატერინე ჩიკოიძემ ლაბორატორიაში უჩვეულოდ დიდი გამტარობა მიიღო, რაც სხვა ნივთიერებებში არ დაიკვირვება. ამიტომ დაგვანტერესა, თუ რამ გამოიწვია ეს. მყავს მეორე თანაავტორი — ბაჩანა ბერაძე. ძირითადად გამოყვავით ორი მიზეზი: პირველი ისაა, რომ ელექტრული ველი გვექონდა და კონცენტრაცია გაიზარდა მუხტების ზედაპირზე და მეორე — ელექტრონების ძვრადობა გაიზარდა, რამაც იმოქმედა ნივთიერების გამტარუნარიანობაზე. კონფერენციაზე პირველად გამოვდივარ და ჩემთვის ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია“, — გვითხრა მან.

ელექტრონიკის დეპარტამენტი

მსმენელის გაკვირვება ელექტრონიკის დეპარტამენტის IV კურსის სტუდენტებმაც შექმნა. მათ ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხის კვლევა დაიწყეს — „ენერჯის ხარისხი: გაზომვის აპარატურა და მიდგომები“.

პავლე წონკოლაური: „ჩვენი კვლევა შეეხება სრულიად ახალ დარგს. როგორც მედიცინაში არის კარდიოქირურგია, ასევე აქაც ენერჯის ხარისხი. ეს ძალიან აქტუალურია, რომლის კვლევაზეც ამერიკაში მილიარდობით დოლარს ხარჯავენ. ჩვენ ინჟინერიის ლაბორატორიაში არსებული აპარატურით ენერჯის ხარისხი ევროპული სტანდარტებით შევადარეთ. უკვე მესამედ გავიმარჯვე, ჩემი თანაგუნდელისთვის კი ეს პირველი გამარჯვებაა“. რევაზ კერესელიძე: „სახლში ელექტრონული მოწყობილობა ხშირად, ელექტროენერჯის ცუდი ხარისხის გამო, მწყობრიდან გამოდის. აღნიშნული ფაქტორები ჩვენ მიერ წარმოდგენილ კვლევაში შევისწავლეთ. ეს დეპარტამენტში ყველაზე დიდი კონფერენცია იყო, რაც კი გვექონია. ჩვენთვის მოულოდნელი იყო გამარჯვება. თუმცა, უნდა ვთქვათ ისიც, რომ ეს მართო ჩვენი გამარჯვება არაა, ჩვენი ხელმძღვანელი, ასისტენტ პროფესორი ლევ გეონჯიანი ძალიან გვეხმარებოდა“.

ბიოლოგიის დეპარტამენტი

წლევანდელი კონფერენცია იმით იყო საინტერესო და განსაკუთრებული, რომ ბევრი სტუდენტი პირველად იღებდა მონაწილეობას. ბიოლოგიის დეპარტამენტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი თამარ ქიმერიძე პირველად მონაწილეობდა და ჩვენთან საუბარში ნაშრომის ხელმძღვანელების ძალისხმევას გაუსვა ხაზი: „ჩემი საპრეზენტაციო თემა იყო „ქვერცეტინ-დაკავშირებული რკინაშემცველი-ნანონაწილაკების გავლენით ქვევითი ეფექტების შესწავლა ვირთაგვეში“. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო თემაა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელებს: ნაწილი დოქტორს, მარიამ ქურასბედიანსა და ბუციკო ჩხარტიშვილს, რადგან ასეთი საინტერესო თემის წარდგენის საშუალება მომცეს. საუნივერსიტეტო კონფერენციაში პირველად მონაწილეობდი და ძალიან ვნერვილობდი. მინდა ვთქვა, რომ სტუდენტებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა — სტიმულის მომცემი“, — თქვა მან.

გეოლოგიის დეპარტამენტი

გეოლოგიის დეპარტამენტიდან საინტერესო და მნიშვნელოვანი თემა წარადგინეს: „მდინარე დურუჯის ღვარცოფული პროცესების მიზეზები და ღვარცოფული ჩამონახანის პეტროგრაფიული დახასიათება“.

„ჩემი ხელმძღვანელი პროფესორი ბეჟან თუთბერიძე გახლავთ. კვლევის დროს რამდენჯერმე ვიყავით მდინარე დურუჯზე. გვაინტერესებდა ღვარცოფის გამოწვევი მიზეზები, რის გამოც დავინწყეთ მდინარის ღვარცოფის მიერ გამოტანილი მასალის სამეცნიერო-პეტროლოგიური/მინერალოგიური შესწავლა. ყველაფერი, რომ დურუჯი არის ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი მდინარე. ჩვენ დავადგინეთ, თუ რა მინერალოგიური და პეტროლოგიური შემადგენლობა აქვს. ასევე, საინტერესო აღმოჩენა იყო ის, რომ ყვარლის ტერიტორიაზე ქინძმარაულის კარგ მოსავალს ქანების შემცველობა განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ამ ნივთიერების შეტანა დაიწყეს სხვადასხვა ქალაქშიც“, — გვითხრა გეოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტმა დავით ცუცქირიძემ.

*** საინტერესოა ისიც, რომ თითოეულ დეპარტამენტს წარმოდგენილი ჰქონდა საანგარიშო სტენდი, რომელიც დამსწრე საზოგადოებას 2018 წლის სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს აცნობდა. აღნიშნული ღონისძიება ყოველწლიურია. ფაკულტეტის დეკანის რამაზ ხომერიკის თქმით, მომავალ წელს უფრო მეტ მონაწილეს და კვლევას ელოდებიან.

ლიანა მარქარიანი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

საერთაშორისო აღიარება

თეარ ღალიანი

წინა დავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის უფროსმა „ეკონომიკა და ბიზნესი“ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 2019 წლის 1 თებერვლიდან უფროსი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზაში ERIH PLUS (European Reference Index for the Humanities and Social Sciences) ჩაერთო.

ERIH PLUS არის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ევროპის სამეცნიერო ფონდის (ESF) მონაცემთა ბაზა, რომლის ოპერირებასაც ახორციელებს ნორვეგიის სამეცნიერო კვლევების მონაცემთა ბაზის ცენტრი (NSD). ბაზაში ბიბლიოგრაფიულად ასახულია ყველა ის აკადემიური გამოცემა, რომელიც გარკვეულ მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს. ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხებთან დაკავშირებული ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგში შესრულებული სტატიები, რომლებიც უფროსმა გამოქვეყნდება, ასევე დაფიქსირდება ERIH-PLUS-ის ბაზაში და მიიღებს საერთაშორისო აღიარებას.

ERIHPLUS-ის ბაზაში უფროსმა „ეკონომიკა და ბიზნესი“ განვერდიანება ჯერ კიდევ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გიორგი ლაღანიძის მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში იყო გაფიქსირებული. იგი ამ ნაბიჯს განიხილავდა, როგორც საფეხურს და ეტაპს უკვე Scopus-ის ელექტრონულ ბაზაში უფროსის გასა-

წვერიანებად. „ჩვენ უნდა დაგვეწყოს მოქმედება და გავმდარეყავით ERIH-PLUS წევრები. ამისათვის კი საჭირო იყო ფინანსური რესურსის გამოყოფა და უფროსის უნარიანი ხელმძღვანელი. ჩემი დეკანად არჩევის შემდეგ უფროსის რედაქტორად დაინიშნა გამოცდილი და წარმატებული პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი და უფროსის საერთაშორისო საინფორმაციო ბაზაში გასაწვერიანებად ფინანსებიც გამოიძენა. პრაქტიკულად, უმოკლეს დროში შევქელით უფროსმა „ეკონომიკა და ბიზნესი“ ERIHPLUS ბაზაში განვერდიანება, რაც მისასაღმებელი ფაქტია. ეს არის პირველი ეტაპი. შემდგომში გვინდა Scopus-ისა და Elsevier-ის ბაზაშიც გავწვერიანდეთ და აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით.

Elsevier-ის ScienceDirect-ზე განთავსებულია მსოფლიოს რეცენზირებადი სამეცნიერო, ტექნიკური და სამედიცინო შინაარსის ნაშრომების თითქმის ერთი მეოთხედი სრული ტექსტის სახით, ხოლო Scopus წარმოადგენს ციტირებადი ლიტერატურის აბსტრაქტებისა და ინდექსირების ბაზას, რომელიც ყველა დარგში კვლევის ანალიზის საშუალებას იძლევა.

ამ ბაზებში გაერთიანებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებსა და დოქტორანტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა — დაფიქსირდნენ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. ეს გაზრდის მათ ცნობადობას, ციტირების ინდექსს და უნივერსიტეტის პრესტიჟს, რაც, დამატებით, მისასაღმებელია“, — აღნიშნა პროფესორმა გიორგი ლაღანიძემ.

როგორც უფროსმა „ეკონომიკა და ბიზნესის“ რედაქტორმა, პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა განაცხადა: „ERIH PLUS-თან მიმონერა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მათი უპირველესი მოთხოვნა იყო უფროსის გამართული ვებ-გვერდის არსებობა, რომლის შექმნაშიც აქტიური წვლილი მიუძღვის ჩვენი უნივერსიტეტის IT-ის თანამშრომლებს: კახა მღებრიშვილს და ლევან ჯღარკავას. მოთხოვნის შესაბამისად, ERIH PLUS-ს შესაფასებლად გაგზავნა 5 სტატია უფროსის სხვადასხვა ნომრებიდან. ყველა აღნიშნული სამუშაოს ჩატარების შემდეგ მივიღეთ თანხმობა.

ERIH PLUS-ის ბაზაში ჩვენი უფროსის ჩართვა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქართველი მეცნიერი ეკონომისტების ნაშრომთა საერთაშორისო აღიარების გზაზე. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოქტორანტებისათვის, ვინაიდან 2018-2019 წლებში ჩარიცხული და შემდეგი პერიოდის დოქტორანტებისათვის დისერტაციის დაცვის აუცილებელ პირობას ERIH PLUS-ის და SCOPUS-ის ბაზებში ჩართულ უფროსის სტატიების გამოქვეყნება წარმოადგენს“, — აღნიშნა ელგუჯა მექვაბიშვილმა, რომელიც უფროსის მთავარ ამოცანად, ქვეყნის მასშტაბით, ეკონომიკურ წრეებსა და ბიზნესის სფეროში შექმნილი ცოდნისა და დაგროვებული პრაქტიკული გამოცდილების საზოგადოებისათვის გაზიარებას მიიჩნევს.

მიმდინარე ეტაპზე უფროსის რედაქციისა და პერსონალის მთავარი ყურადღება კონცენტრირებულია მის ინტერნაციონალიზაციაზე, რომე-



ლიც ითვალისწინებს ინგლისურ ენაზე სრულფასოვანი ვებ-გვერდის მომზადებას, უფროსში უცხო ენებზე დაწერილი სტატიების გაზრდას და უცხოელი ავტორების უფრო ინტენსიურად ჩართვას, ასევე, საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ბაზებში უფროსის განთავსებას.

რესტავრირებული უნიკალური წიგნების გამოფენა თსუ-ში

ნაბო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 8 მილიონზე მეტი წიგნი ინახება. საბიბლიოთეკო ფონდი უნიკალურ გამოცემებს მოიცავს. მათ შორის არის დაახლოებით სამი საუკუნის წინ გამოცემული წიგნები — უძველესი რარიტეტული ნაბეჭდი საბიბლიოთეკო ერთეულები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადამწყვეტილებით, უნიკალური წიგნების გადასარჩენად, რამდენიმე წლის წინ, ბიბლიოთეკაში სარესტავრაციო განყოფილება შეიქმნა. რესტავრირებული ნიმუშების პრეზენტაცია ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა.

„ამ გამოფენაზე წარმოდგინეთ წლების განმავლობაში აღდგენილი უნიკალური წიგნები. განსაკუთრებით მინდა გამოვარჩიო 1709 წელს ვახტანგ VI-ის და დროს გამოცემული სახარება. ეს წიგნი ანთიმოზ ივერიელის მონაფის დახმარებით შექმნილ სტამბაში დაიბეჭდა. სახარებაზე ექვთიმე თაყაიშვილის მინაწერებია, სადაც აღნიშნულია, რომ წიგნი ალექსანდრე ბატონიშვილის ნაქონია, რომელიც ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის მეოთხე ვაჟი გახლდათ. წიგნის რესტავრირების პროცესში ჭვირნიშნები აღმოვაჩინეთ,

რითაც დადგინდა, რომ საბეჭდად გამოყენებული ქალაქი პოლანდიური წარმოშობისაა. ჩვენს საცავებში ინახება სახარების კიდევ 20 ეგზემპლარი, მათზე იტალიური ჭვირნიშნებია გამოსახული.

კიდევ ერთი გამოფენილი ექსპონატი, რომელსაც გამოვარჩევდი, არის 1709 წელს დაბეჭდილი „დავითნი“. ამ წიგნს ყდის რესტავრაცია გაუკეთეთ, რადგან ფურცლები სათითაოდ იყო დაშლილი“, — განაცხადა თსუ-ის ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილების უფროსმა ესმა ტყეშუჩავამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნიკალური წიგნადი ფონდის გადასარჩენად 6 რესტავრატორი მუშაობს. რესტავრაცია უკვე ჩაუტარდა 1878 წელს ლაიფციგში გამოცემულ წიგნსა და წერილის II ტომს, რომელიც გერმანულად მარტინ ლუთერის მიერ არის ნათარგმნი. ასევე, აღდგენილია 1908 წელს გამოცემული საღვმელთმთავრო კონდაკი, 1884 წლით დათარიღებული სულხან-საბას ქართული ლექსიკონი და ივანე ჯავახიშვილის 1907 წლის საქართველოს ეკონომიური ისტორია.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბევრი რარიტეტული გამოცემა ინახება, რომელსაც აღდგენა და მოფრთხილება სჭირდება. რესტავრაციის განყოფილების თანამშრომლებ-

მა ნამდვილად შრომატევადი სამუშაო გასწიეს. უნიკალური წიგნებია აღდგენილი, როგორც ვახტანგ მეექვსისული სახარება და „დავითნი“. მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმეში ახალგაზრდების ჩართვის საშუალებაც გვაქვს“, — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

რესტავრირებული უნიკალური გამოცემების გამოფენაზე სულ 650 ნიმუში იყო წარმოდგენილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რესტავრაციის განყოფილება ბიბლიოთეკის დირექტორის ზურაბ გაიპარაშვილის ინიციატივით 2011 წელს შეიქმნა.

„აქ წარმოდგენილია როგორც გადარჩენილი უნიკალური წიგნები, ასევე, ბოლო პერიოდში შემონიშნული საბიბლიოთეკო ერთეულები. მათ შორის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სტუდენტის მედეა ლამბაშიძის ხელნაწერები, დღიურები, რომლებიც შარშან მისმა შვილიშვილმა ჩვენს ბიბლიოთეკას გადმოსცა. ასევე რესტავრირებულია ბევრი უფროსი, პერიოდული გამოცემა, სამეცნიერო ნაშრომები და ა.შ.“, — აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

წიგნების რესტავრაციის ლაბორატორია, ქალაქის რესტავრაციის



გარდა, ბიბლიოთეკაში დაცულ სხვა მნიშვნელოვან ექსპონატებზეც მუშაობს. რესტავრატორების ძალისხმევით პირველადი სახე დაუბრუნდა გიორგი ახვლედიანისეულ სკამს. პირველადი იერსახე აღუდგინეს ქართველი კომპოზიტორისა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველი ავტორის კოტე ფოცხვერაშვილის ქულაჯას, რომელიც, დაახლოებით, ერთი საუკუნისაა. ამ დროისთვის აღდგენილი სამუშაოები რამდენიმე ათეულ უნიკალურ გამოცემას უტარდება.



ზურაბ სახანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის გახსნის „ტსუ-ჰიუნდაი“ გახდა

თამარ ლალიანი

საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კალათბურთელების სსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები 2006 წლიდან იმართება, ბოლო 2 წელია კი მას ქორქია-საკანდელიძის მშობლიური ქალაქი — ქუთაისი მასპინძლობს. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისა და ირაკლი ძიძიგურის განვრთნილმა გუნდმა ფინალურ მატჩში თბილისის „დელტა“ დაამარცხა ანგარიშით: 89:77 და სოლიდური ტიტული მოიგო.

ტურნირში სუპერლიგის 8 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 2 ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი. „ტსუ-ჰიუნდაი“ და „დელტა“ ჯგუფში სამივე მატჩი მოიგეს და ფინალში გავიდნენ, რომელიც 8 თებერვალს ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა.

სატიტულო მატჩში „ტსუ-ჰიუნდაი“ კარგად და შედეგიანად თამაშობდა. ჩერქეზიშვილის განვრთნილმა გუნდმა

თამაში გამარჯვებამდე დამაჯერებლად მიიყვანა და არსებობის მანძილზე პირველი ტიტული მოიგო.

გამარჯვებულთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა კორი სანდერსი, რომელმაც 20 ქულა, 10 პასი და 6 მოხსნა მოაგროვა. 17 ქულა მიითვალა ჯეიმს მილიკენმა. 12 ქულა დაგროვდა რატკო პეტრიჩის ანგარიშზე, ხოლო გიორგი კორსანტიამ გამარჯვებულს 11 ქულა შესძინა. „დელტაში“ 18 ქულით ბობარდირი გახდა ოთარ ფხაკაძე, გეგი ბაქრაძეს კი ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა 12 ქულა, 9 მოხსნა.

მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. ტურნირის საუკეთესო უკანასახელი გახდა კორი სანდერსი, რომელიც ცნობილმა ვეტერანმა კალათბურთელმა გივი ბიჭიაშვილმა დააჯილდოვა. საუკეთესო ფორვარდის პრიზი „დელტას“ წევრმა — გეგი ბაქრაძემ დაიმსახურა, რომელსაც შესაბამისი პრიზი მსოფლიოს ჩემპიონმა — ნიკოლოზ დერიუგინმა გადასცა.



და ბოლოს, „ტსუ-ჰიუნდაი“ კაპიტანმა კოკა ტომარაძემ ქორქია-საკანდელიძის თასი ზურაბ საკანდელიძის მემორიალისგან და ვეტერან კალათბურ-

თელის ნოდარ ქორქიასგან ჩაიბარა. გამარჯვებულმა გუნდმა წარმატება, საკუთარ ქომაგებთან ერთად, საზეიმო ფოიერვერკის თანხლებით აღნიშნა.

ბეჟან თუთბერიძის ახალი წიგნი

თამარ ლალიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ბეჟან თუთბერიძის სახელმძღვანელოს — „მაგმური ქანების პეტროლოგია კრისტალოპტიკის საფუძვლებით“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

„სიმბოლურია, რომ ჩემი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია ალექსანდრე

თვალჭრელიძის სახელობის აუდიტორიაში ტარდება. ალექსანდრე თვალჭრელიძემ 1919 წელს მინერალოგია-პეტროლოგიის კათედრა დააარსა, რომელიც იყო პირველი გეოლოგიური პროფილის კათედრა არა მხოლოდ ახლად დაარსებულ თსუ-ში, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც. ამ კათედრას წელს 100 წელი უსრულდება.

მაგმური ქანების პეტროლოგიის სახელმძღვანელოს შედგენის აუცილებლობა რამდენიმე გარემოებამ გადაამწყვეტინა — ძლიერ ტრანსფორმირებული გეოლოგიური სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სასწავლო კურსის სილაბუსთან შესაბამისი მაგმური ქანების პეტროლოგიის ქართულენოვანი სახელმძღვანელოს არარსებობამ და პეტროლოგიის დარგში ჩემმა მრავალწლიანმა პედაგოგიურმა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში დაგროვილმა გამოცდილებამ.

სახელმძღვანელოს მომზადებასა და გამოცემაში ძალიან დამეხმარა ქართველი და უცხოელი კოლეგების პეტროლოგიის სახელმძღვანელოები, ლექციური კურსები, სამეცნიერო ლიტერატურა, ჩემი სამეცნიერო კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები და უნივერსიტეტში მოღვაწეობის დიდი ხნის გამოცდილება. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ პეტროლოგიის დარგი სწრაფად ვითარდება და გროვდება უახლესი როგორც ექსპერიმენტული, ისე თეორიული მასალა. ხმარებიდან გამოდის მოძველებული ტერმინები და ცნებები. სწორედ ჩამოთვლილი არგუმენტები გახდა ახალი სახელმძღვა-

ნელოს შექმნის იდეა“, — განაცხადა წიგნის ავტორმა, პროფესორმა ბეჟან თუთბერიძემ, რომელმაც მსმენელებს წინაშე წიგნის ილუსტრაციები წარმოადგინა.

სახელმძღვანელოს შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება პეტროლოგიის კურსის სილაბუსს და განკუთვნილია უნივერსიტეტების გეოლოგიური სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. მას გამოიყენებენ გეოლოგიის, გეოგრაფიის და გეოფიზიკის დარგის მაგისტრანტები, დოქტორანტები და პრაქტიკოს-გეოლოგები.

სახელმძღვანელოს მნიშვნელობაზე ისაუბრა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ: „ახალი სახელმძღვანელო საშუალებას აძლევს ჩვენს სტუდენტებს — უფრო ღრმად გაიცნონ და შეიყვარონ არჩეული პროფესია“.


პრეზენტაციაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი მალალაშვილი და გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი კარლო აქიმძე.

„35 წლის წინ გამოვიდა პირველი სახელმძღვანელო პეტროგრაფიაში „პეტროლოგია-მინერალოგიის საფუძვლები“ აკადემიკოს ნიკოლოზ სხირტლადის ავტორობით. ეს ნაშრომი სსრკ განათლების სამინისტროს გეგმის მიხედვით მომზადდა და განკუთვნილი იყო გეომორფოლოგიის, გეოგრაფიისა და ქებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების სპეციალობის სტუდენტებისთვის. სამწუხაროდ, ჩვენი სტუდენტები დღემ-



დე ამ წიგნით სარგებლობდნენ. და აი, დღეს, ჩვენ ხელთ გვაქვს ახალი, შესანიშნავი სახელმძღვანელო, რომელიც სრულად შეესაბამება პეტროლოგიის სწავლების სილაბუსს. ეს ახალი სახელმძღვანელო უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია მაღალკვალიფიციური გეოლოგიური კადრების მომზადების საქმეში“, — აღნიშნა ასოცირებულმა პროფესორმა კარლო აქიმძემ.

პრეზენტაციის ბოლოს სახელმძღვანელოს ავტორმა დიდი მადლობა გადაუხადა წიგნის რეცენზენტებს, თსუ-ის გამომცემლობის თანამშრომლებს, ფინანსურ მხარდაჭერის ბატონ ჯონი შუბითიძეს და გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორს ბატონ კახა რუსიძეს.



ელექტრონულ წიგნებზე მოთხოვნა გაიზარდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გასულ წელს რეკორდულად დიდი რაოდენობის (200) ტექსტი გამოცემა, რომელიც ბეჭდური ან ელექტრონული სახით მიეწოდა მკითხველს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ „ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე“ წარდგენილი წიგნების 90% უნივერსიტეტის გამოცემებმა შეადგინა. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემების უდიდესი უმრავლესობაც უნივერსიტეტის მიერ მომზადდა.

თსუ-ის გამომცემლობის სამეცნიერო გამოცემების მენეჯერის მარიკა ერქომაიშვილის განცხადებით, შთაბეჭდილად გაიზარდა მოთხოვნა ელექტრონულ წიგნებზე: „შარშან 37 დასახელების ტექსტი მომზადდა და განთავსდა ელექტრონულად, როცა წინა წლებში მათი რაოდენობა ერთიანად ციფრს არ გასცილებია. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ უნივერსიტეტმა გაააქტიურა სტუდენტურ

პროექტებზე მუშაობა. თსუ-ის დოქტორანტების მიერ ითარგმნა და გამოიცა ვლადიმერ ვოიტინსკის წიგნი „ქართული დემოკრატია“. წიგნი 1921 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა. გამოცემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და სრულყოფილ ნაშრომს წარმოადგენს. ეს წიგნი, ფაქტობრივად, მემუარული ტიპის ნაწარმოებია და აქ აღწერილი მოვლენები უშუალოდ ავტორის მიერ არის მოთხრობილი. ეს წიგნი პირველად ითარგმნა, კარგად იკითხება და იმ პერიოდის საქართველოს დეტალებში აღწერს. სტუდენტური პროექტები და ელექტრონული გამოცემები — ეს ის სიახლეებია, რაც გასულ წელს განსაკუთრებით გააქტიურდა. დაიბეჭდა 10 ახალი ნათარგმნი სახელმძღვანელო.

რეკორდულად გაიზარდა მოთხოვნა კომერციულ ბეჭდვებზე, დაკვეთა ისრაელიდან და ფინეთიდანაც კი განხორციელდა. თსუ-ის გამომცემლობის მიერ მომზადდა და გამოიცა სამივე წიგნი: „მამა“,

„სულიკო მსოფლიო ხალხთა ენებზე“ და „universitas“, — აღნიშნა მარიკა ერქომაიშვილმა, რომელმაც თსუ-ის გამომცემლობის მთავარ საქმიანობად თანამედროვე გამოცემებზე ორიენტირება დაასახელა.

რა წიგნები შეემატა თაროს?

„მამა“

წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა გამოცემასა და ხელნაწერების ეროვნულ ცენტრში დაცული ივანე ჯავახიშვილის შვილების მოგონებები. როგორც წინასიტყვაობაში ვკითხულობთ — „ამ გამოცემის მიზანი სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, საქართველოს რადიოსა თუ ხელნაწერების ეროვნულ ცენტრში დაცული ივანე ჯავახიშვილის შვილების მოგონებების ერთად თავმოყრაა. მკითხველის წინაშეა ნათელასა და ალექსანდრეს ემო-

ციური და დაუვინყარი მოგონებები მამაზე — ივანე ჯავახიშვილზე. ჩანაწერები საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს ჩვენი ისტორიის გამორჩეული პიროვნების ოჯახური ცხოვრების ისეთ საინტერესო ფაქტებს, რომლებიც საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია“, — წერს ზურაბ გაიპარაშვილი, რომელიც წიგნის ერთ-ერთი შემდგენელი და რედაქტორია.

„მეურნეობის ტიპები ბრაკლიან გორაზე“
ავტორი: ანა თეთრუაშვილი

ნაშრომში წარმოდგენილი მეცნიერული კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ნაშრომი ეძღვნება ტრასოლოგიას, რომელიც XX

316 შალგინა საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დაბუღება?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღნიშნავს გამოჩენილი მეცნიერის, სამხედრო და საზოგადო მოღვაწის, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ანდრია ბენაშვილის დაბადების 150 წლის იუბილეს. საგულისხმოა, რომ სხვადასხვა გამოცემაში ანდრია ბენაშვილის დაბადების წლად მითითებულია 1968 წელი. შესაბამისად იუბილეს აღნიშვნაც ყოველთვის ამ წლიდან აითვლებოდა.

ახლახან მიკვლეული საარქივო დოკუმენტები და ანდრია ბენაშვილის საფლავის ქვა კი სხვას გვეუბნება. ჩანანერი ანდრია ბენაშვილის დაბადების შესახებ შემოინახა ყვარლის ღვთისმშობლის ფერიცვალების სახელობის ეკლესიის „მეტრიკის წიგნში“, სადაც ვკითხულობთ: „ჩაყ 7 წლის კვ მარტს (ე.ი. 1867 წლის 23 მარტს) საქართველოს დროუნიის სოტნიკს მიხეილ ანდრიას ძე ბენაშვილს და სჯულიერ ცოლს მისი ელისაბედ ლაზარეს ასულს შეეძინათ ვაჟი ანდრია“.

დღემდე გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ დებულება საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის შესახებ შეადგინა ივანე ჯავახიშვილმა. ცხადია, ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაში, თუმცა ნათელი გვინდა მოვფინოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას.



1967 წელს ჟურნალ „საისტორიო მონაშენი“ (№21-22, გვ. 374-375) დაიბეჭდა თ. ტაბლიაშვილის სტატია „ავადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სადაც მრავალრიცხოვან საინტერესო დოკუმენტთა შორის, არის ავტორის მიერ 1919 წლით დათარიღებული „საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დროებითი დებულება, შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ“ (გვ. 374). სწორედ ეს დოკუმენტი ადასტურებს იმას, რომ დებულება საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის შესახებ მართლაც შეუდგენია ივანე ჯავახიშვილს და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი მის მიერ არის ჩასწორებული.

ამავე არქივში შემონახულია კიდევ 2 დოკუმენტი — საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დებულების და ვარიანტები [ცსა, 1935-1-502, ფ. 56-58], რომელთაც ხელს აწერს ობსერვატორიის იმდროინდელი დირექტორი, უნივერსიტეტის პროფესორი, გენერალი ანდრია ბენაშვილი.

დებულების I და II ვარიანტი არ არის დათარიღებული, თუმცა საქალაქის გარე ყდაზე, რომელშიც ეს საქმეა განთავსებული, კიდურა წლებად მითითებულია: 24 ნოემბერი, 1919 წელი და 14 აგვისტო, 1920 წელი. ორივე დოკუმენტი მანქანაზე ნაბეჭდი თითქმის იდენტური ტექსტითა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთ-ერთ ეგზემპლარზე (მეორე ვარიანტი) პასტიტაა დატანილი სტილისტური, ორთოგრაფიული და კორექტორული შესწორებები. ამდენად, ამ ორ დოკუმენტს შორის, ცალკეული გამოცემის გარდა, ფაქტობრივად, არანაირი შინაარსობრივი სხვაობა არ არის, რისი თქმაც არ შეგვიძლია ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ დებულებაზე.

ლოგიკურად ისმის კითხვა, დროის დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში და ერთსა და იგივე საგანზე, რატომ შეიქმნა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული დებულება და რომელი მათგანი იქცა შემდგომ ნორმატიულ დოკუმენტად. ეს ფაქტი გაცხადებს კიდევ უფრო მეტად იწვევს იმ გარემოების გამოც, რომ მისი შემდგენელი — ივანე ჯავახიშვილი და ანდრია ბენაშვილი, როგორც თანამოაზრეები, თბილისის უნივერსიტეტში ერთად მოღვაწეობდნენ და მათი ერთობლივი მიზანიც უნივერსიტეტისადმი ობსერვატორიის დაქვემდებარება იყო. შესაბამისად, მათი საქმიანობა, ამ თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან ფარული ვერ იქნებოდა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში დაცულია 1920 წლის „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“ [პირველი ნაწილი, ტფილისი, საქართველოს სენატთან არსებული საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა]. ოფიციალურ საკანონმდებლო დოკუმენტთა ამ ნუსხაში შეტანილია „კანონი საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დაარსების შესახებ“ [№182, გვ. 521-525]. კანონს ხელს აწერენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე და რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. როგორც მითითებულია, კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა



საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დებულების პირველი ვარიანტი, ხელს აწერს ანდრია ბენაშვილი

დამფუძნებელთა კრების მიერ. მითითებულია თარიღიც: „1920 წ. ივლისის 13“. კანონს თან ერთვის „დებულება საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიისა“ და ხარჯთაღრიცხვა. კანონში მითითებულია, რომ 1920 წლის 1 მარტიდან ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიის ნაცვლად დაარსდა საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია.

ამ დებულებისა და ეროვნულ არქივში დაცული ზემოთ ხსენებული 2 დოკუმენტის (დებულების I და II ვარიანტები) ტექსტების ურთიერთშედარებაში თვალნათლივ დაგვაჩანს, რომ ნორმატიული დოკუმენტის ტექსტი ეკუთვნის ა. ბენაშვილს და იგი თითქმის მთლიანად დებულების II ვარიანტის იდენტურია. თუმცა არის განსხვავებებიც.

ა. ბენაშვილის მიერ შედგენილ დებულებაში 20, ხოლო კანონში — 18 მუხლია, ვინაიდან კანონში არ აისახა ბენაშვილისეული ვარიანტის ზოგიერთი მუხლი, მაგალითად, მუხლი სამეცნიერო პერსონალისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ, რომლის მიხედვითაც წლის განმავლობაში 1 თვის საზაფხულო დასვენების გარდა, მათ (ჯამაგირის შენარჩუნებით) ასევე უნდა ჰქონოდათ 1 თვის შევლებით სარგებლობის უფლება (მუხლი №20). შეცვლილია ჩანანერი საფოსტო გადაგზავნების შესახებაც (მუხლი №14), რომლის მიხედვით სახელმწიფო დაწესებულებებისათვის მოქმედი შეღავათების გარდა, განწერილი იყო სხვა დამატებითი უფლებებიც, როგორცაა: ნებისმიერი ამანათის ფოსტით გადაგზავნა წინის ფასის გადაუხდელო (კანონით კი „წონით არა უმეტეს ერთი ფუნთისა“).

ყველა ხსენებული ფაქტი მიუთითებს, თუ როგორ ცდილობდა ა. ბენაშვილი შეექმნა ყველანაირი პირობა ობსერვატორიის ნორმატიული და ნარმატიული საქმიანობისათვის.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დროებით დებულებას, იგი უფრო ადრინდელი უნდა იყოს, რაზეც თვით სახელწოდება — „დროებითი“ უნდა მიგვანიშნებდეს. ცხადია, იგი უნდა შექმნილიყო მანამ, ვიდრე შეეშავდა დებულების, როგორც ნორმატიული დოკუმენტის, საბოლოო ვარიანტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველობა, ისევე როგორც ბევრ სხვა წამოწყებაში, აქაც დიდ ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. ისმის კიდევ ერთი კითხვა — რა მიზნით უნდა შეექმნა ივ. ჯავახიშვილს ობსერვატორიის დებულება? ვფიქრობთ, ამაზე პასუხის გაცემა არცთუ ისე რთულია.

1918 წლის 13 აპრილს პროფესორთა საბჭო (სხდომის ოქმი №9) ერთ-ერთ საკითხად განიხილავს ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიიდან მოსულ წინანაშენებს — დაახლოებით „კანდიდატი ობსერვატორიის დირექტორის თავისუფალ ადგილზე“. სხდომის განჩინება ასეთია: „ნარდგენილ იქნას კანდიდატად უნივერსიტეტის პროფესორი გენერალმაიორი, გეოდეზისტი ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი“. საკითხი დადებითად გადაწყდა — ანდრია ბენაშვილი ობსერვატორიის ხელმძღვანელობდა 1923 წლამდე.

პროფესორთა საბჭოს სხდომიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1919 წლის 19 მარტს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს პროფ. პეტრე მელიქიშვილმა და პროფ. ანდრია ბენაშვილმა. ამ მოხსენებების საფუძველზე მეორე დღეს, 1919 წლის 20 მარტს პროფესორთა საბჭომ გადაწყვიტა (სხდომის ოქმი №28) მიემართათ განათლების სამინისტროსათვის, რომ მას სათანადო

განკარგულებით „ტფილისის ფიზიკური ობსერვატორია მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით“ გადასცემოდა უნივერსიტეტს.

აი, ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ივანე ჯავახიშვილს უნდა ეზრუნა პირველი ქართული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში შესულ სტრუქტურაზე, რომლის უძრავ-მოძრავ ქონებას სტუდენტთა პროფესიული ზრდისათვის უნდა შეენყო ხელი.

ალბათ, მკითხველისათვის ისიც საინტერესოა, თუ რა მსგავსება-განსხვავება ივანე ჯავახიშვილისა და ანდრია ბენაშვილის მიერ შედგენილ დებულებებს შორის. ზოგადი პრინციპების მიხედვით, რა თქმა უნდა, მათ შორის უფრო მეტი მსგავსებაა, თუმცა წინადადებათა წყობა, ლექსიკა და კიდევ სხვა ნიუანსები ამკარად მიუთითებენ, რომ ეს დებულებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შედგენილი. მაგალითისათვის მოგვყავს მხოლოდ ერთი მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ობსერვატორიის მთავარ დანიშნულებას.

ჯავახიშვილისეული ვარიანტი: „ფიზიკური ობსერვატორიის მიზანი და დანიშნულებაა საქართველოს შესწავლა მეტეოროლოგიური, მაგნიტური, სეისმოური და საზოგადო ფიზიკური მოვლენათა თვალსაზრისით. ამასთანავე მის მოვალეობას შეადგენს შექმნისდაგვარად სახელმწიფო, საერო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის საჭირო სამეცნიერო ცნობების მიწოდება პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად“.

ბენაშვილისეული ვარიანტი: „ობსერვატორია აწარმოებს მეტეოროლოგიურ, კლიმატოლოგიურ, მაგნიტურ, სეისმოურ და სხვა გეოფიზიკურ ხასიათის დაკვირვებათა და კვლევა-ძიებათ, როგორც საქართველოში, ისე მის მოსაზღვრე ქვეყნებში, შექმნის და გვარად იყენებს მეცნიერულ კვლევა-ძიებათა დასაკმაყოფილებლად, და თავის სახარის მიხედვით დახმარებას უწევს იმ პირთ, რომელნიც ზემოთ ჩამოთვლილ ხასიათის დაკვირვებას აწარმოებენ“.

კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსი: ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ დებულებაში „ობსერვატორია სახალხო განათლების სამინისტროს უწყებებში ითვლება“ (მუხლი №4) ასევე ნაროჩენილი იგი ა. ბენაშვილის მიერ შედგენილი დებულების პირველ ვარიანტში: „საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია ექვემდებარება განათლების მინისტრს და შედის სახელმწიფო უნივერსიტეტის უშუალო გამგებლობაში“ (მუხლი №1). თუმცა მეორე ვარიანტში საუბარია მხოლოდ ობსერვატორიის განათლების მინისტრისადმი დაქვემდებარებაზე: „საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია ექვემდებარება განათლების მინისტრს“ (მუხლი №1). ეს ტექსტი კანონის ჩანანერის იდენტურია (დებულება, მუხლი №1).

კანონში მითითებულია, რომ „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უფლება აქვს სამეცნიერო და პედაგოგიური მიზნებისათვის გამოიყენოს ფიზიკური ობსერვატორიის ყოველი განყოფილება“ (მუხლი №12). ამასთან ობსერვატორიასთან არსებობს „სამეცნიერო საბჭო, რომელიც შესდგება დირექტორისა, მისი თანაშემწისა, განყოფილებათა გამგეებისა, ობსერვატორიის ყველა ფიზიკოსებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი წარმომადგენლისაგან“. თუმცა აქ საერთოდ არ არის საუბარი ობსერვატორიის უნივერსიტეტისადმი დაქვემდებარების თაობაზე. მაშინ, როცა, ივ. ჯავახიშვილისეულ ვარიანტში „ფიზიკური ობსერვატორია სახალხო განათლების სამინისტროს უწყ-



ანდრია ბენაშვილი

ებაში ითვლება და ყოველ მხრივ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ექვემდებარება“ (მუხლი №4). ამასთან „ფიზიკური ობსერვატორიის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ირჩევს და პროფესორთა საბჭო ამტკიცებს“ (მუხლი №5) და ასევე „ობსერვატორიასთან არსებობს სამეცნიერო საბჭო, რომელიც დირექტორის თავმჯდომარეობით სამეცნიერო და საფინანსო საქმეებს განაგებს იმ ინსტიტუტის თანახმად, რომელსაც უნივერსიტეტის საბჭო შეადგენს“ (მუხლი №6, შენ. 1).

ივ. ჯავახიშვილს კარგად აქვს გააზრებული, თუ რა სარგებელს მოუტანდა უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში ობსერვატორიის მოქცევა, თუმცა ეს საკითხი მაშინ ვერ გადაწყდა. როგორც ჩანს, არ არსებობდა საქართველოს იმდროინდელი უმაღლესი ხელისუფლების კეთილი ნება. მამუე პროფესორთა საბჭოს 1922 წლის 19 მარტის სხდომის ოქმიც (№5) მიგვანიშნებს, რომელსაც ა. ბენაშვილიც ეწინააღმდეგებოდა. ამ სხდომაზეც კვლავ იგივე საკითხი განიხილება, თუმცა, ამჯერად, მოხსენება გააკეთა ა. დიდბუღელიმ. სწორედ ამ მოხსენების თანახმად მიიღო საბჭომ დადგენილება, რომ „ალიძრას სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა, რათა ტფილისის საფიზიკური ობსერვატორია გადაეცეს უნივერსიტეტს“.

დღეს, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება — თბილისის ობსერვატორია აღარ არსებობს. დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ობსერვატორიის უნიკალური მთავარი შენობა, ოდესღაც ღერძის ირგვლივ მბრუნავი კოშკით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირობითი ობსერვატორიული ინსტიტუტს ეკუთვნის. ამ შენობას ოდინდელი სამეცნიერო ღირებულება დღეს დაკარგული აქვს, მაგრამ იგი XX საუკუნის შუა პერიოდის კულტურის უნიკალური ძეგლია. ობსერვატორიის მთავარ შენობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ნივთები და ხელნაწერები, რომლებიც განსაკუთრებით მოვლა-პატრონობასა და დაცვას საჭიროებს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ხელნაწერებში პირველი ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლევის — ივანე ჯავახიშვილისა და ანდრია ბენაშვილის სახელებიც ამოკეთდებოდეს.



